# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 თებერვალი 2001 №21 (1294) | ფასი 50 თეთრი


2 ჟორდანია ევროპაში დარჩა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მივლინება გაიხანგრძლივა

6 კლუივერტი გაფითრდა

შენ ახსენე რეალი?! კატალონიელებმა პასუხი მოსთხოვეს

10 სამგზის მამა



ბორის ბეკერმა აღიარა: ამ ქალის ბავშვი ჩემია

11 უცნობთა სრიალი



ანია პაერსონი ინგმარ სტენმარკის სოფლელია

14 უმბასთან ევერესტი რას მოვა!

ჩრდილოელები და სამხრეთელები ორთავა მწვერვალზე გაერთიანდნენ

# 240 ათასი$

## პოლიციამ ფული გადაიხადა: დინამო მრეტებთან და ფიფასთან სუფთაა

**ყველაფერი მოგვარდა:** გუშინ თბილისის „დინამომ“ „მრეტებს“ 240 ათასი დოლარი, ფიფას კი 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი გადაუხადა.

გუშინვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას გადარიცხული თანხის ქვითრების ასლები გაუგზავნა და თხოვნაც დაურთო — „დინამოს“ სატრანსფერო ვეტო მოუხსენითო. ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ტელეფონითაც დაუკავშირდა ფიფას სადისციპლინო კომიტეტს და ეს ამბავი აცნობა. შვეიცარიიდან კი შემოთვალეს, პასუხს პარასკევს ან ორშაბათს გაცნობებთო. თუმც ისეც ცხადია, უახლოეს დღეებში „დინამოს“ სატრანსფერო უფლება აღუდგება.

„დინამოსა“ და „მრეტებს“ შორის დავა ექვს წელიწადს გრძელდებოდა, გიორგი ქინქლაძის „დინამოდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გაყიდვის დღიდან. „მრეტები“ „დინამოს“ სატრანსფერო თანხის კუთვნილ პროცენტს სთხოვდა. თავიდან მილიონებზე იყო ლაპარაკი, მერე და მერე, ურთიერთშეთანხმებისა და ფიფას ჩარევის შემდეგ „დინამოს“ 240 ათასი დოლარი დაეკისრა, ამას დაემატა ის 5 ათასი შვეიცარიული ფრანკიც, რომელიც ფიფამ უპატივცემულობისთვის მოსთხოვა საქართველოს ათგზის ჩემპიონს.

გუნდს პატრონი გამოუჩნდა თუ არა, ეშველა კიდეც: „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ კლუბის ვალები გაისტუმრა.

წუხელვე „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის ახალდანიშნულმა მოადგილემ ნიკა ივანიშვილმა გვითხრა: 9 თებერვალს კი ვაპირებდით „მრეტებისთვის“ და ფიფასთვის ამ ფულის გადახდას, მაგრამ ბანკმა კრედიტი დღესვე მოგვცა და ჩვენც არ დავაყოვნეთ. 240 ათასი დოლარი და 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი პირველ საათზე გადავრიცხეთ. უკვე შევიტყვეთ, რომ ფული ადრესატის ანგარიშზე დაჯდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად არის. ახლა კი „დინამოში“ ფეხბურთელთა დაბრუნებაზეც ვფიქრობთ. ფიფა ალბათ ორშაბათსვე გაგვიუქმებს სატრანსფერო ვეტოს და ჩვენც ხელფეხი გაგვეხსნება.

ჭოგა ინასარიძე

# აიწონა-დაიწონა

## რევაზ არველაძე ამსტერდამში პრეზიდენტობაზე ფიქრობს

*მეთორმეტე ეროვნულის დაწყების წინ ჩაიბარა ვალებში ჩაფლული და პრეზიდენტდატუსაღებული „დინამო“ რევაზ არველაძემ. უფერული სტარტის შემდეგ გუნდი ათამაშდა, ზედიზედ რვა მატჩი მოიგო და ლიდერობის შანსიც მიეცა, მაგრამ „ლოკომოტივთან“ მარცხმა საშემოდგომო ეტაპი მესამე ადგილზე ჩაამთავრებინა. ამ ხნის განმავლობაში რევაზ არველაძე იყო „დინამოს“ თავკაციც და მარჩენალიც თავის მეგობრებთან ერთად. ავად თუ კარგად გუნდი სულდგმულობდა და რომ არა მათი ფინანსური მხარდაჭერა, „დინამო“ მესამე ადგილსაც ვერ შესწვდებოდა. საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ კი რევაზ არველაძემ ოფიციალურად განაცხადა — თუ 11 დეკემბრამდე „დინამოს“ არ მიხედავენ, მე და ჩემი მეგობრები ახალ საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ჩამოვაყალიბებთო. შემდგომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა: დეკემბერში აღარ, მაგრამ წლეულს, 2 თებერვალს „დინამოს“ პატრონი შინაგან საქმეთა სამინისტრო გახდა. გუშინ კი, „დინამოსგან“ „მრეტების“ ვალების გასტუმრების ამბავი რომ შევიტყვეთ, ამსტერდამში, ძმასთან, შოთასთან მყოფ რევაზ არველაძეს შევეხმიანეთ.*

იხილეთ მეორე გვერდი



რევაზ არველაძე: ჩემსას თბილისში ვიტყვი!

# ჟორდანია ევროპაში დარჩა



მერაბ ჟორდანია

**„სადავო** არაფერია, ყველაფერი მაშინ გაცხადდება, როცა „დინამოს" ლეგიტიმური პატრონის ვინაობა გაირკვევა. კალაძის კონტრაქტსაც მაშინ გამოვაჩენ და „დინამოს" პატრონს გადავცემ" — განაცხადა სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ბოლოს გამართულ პრესკონფერენციაზე. „დინამო" პოლიციამ ჩაიბარა, ჟორდანია კი ფიფა-უეფას ჩინოსნებთან შესახვედრად შვეიცარიაში გაემგზავრა.

პრეზიდენტის საქმიანი ვიზიტის ვადა გუშინ ამოიწურა და როცა ჟორდანიას თბილისში დაბრუნებას ველოდით, სფფ-დან სულ სხვა ინფორმაცია მივიღეთ.

„პრეზიდენტი თბილისში ჯერჯერობით არ დაბრუნდება, ჯერ კიოლნში ჩავა და საქართველოს ნაკრების „კიოლნთან" მატჩს დაესწრება, მერე კი ესპანეთში გაემგზავრება და ეროვნული ნაკრების და „მალიორკას" მატჩს ნახავს" — აი, ეს გვითხრა სფფ-ის პრესატაშემ.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ეროვნული ნაკრები კიოლნს 27 თებერვალს სტუმრობს, „მალიორკას" კი პირველ მარტს ეთამაშება. ჟორდანიაც ალბათ ამის მერე თუ დაბრუნდება თბილისში, სადაც კალაძის თბილისურ-კიევური საკონტრაქტო-სატრანსფერო სკანდალი უფრო და უფრო ღვივდება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ 12 ან 13 თებერვალს შვეიცარიაში სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაც გაემგზავრება. ფედერაციის პრეს-სამსახურის ცნობით, ჩოლარიამ ფიფას სემინარებში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამავე დროს ჩოლარიას ფეხბურთის მმართველ ორგანოში სფფ-ის ახალი ოფისის პროექტი მიაქვს დასამტკიცებლად. მოგეხსნებათ, ფედერაციის ახალი ბინის მშენებლობას სწორედ ფიფა აფინანსებს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# აიწონა-დაიწონა

## რევაზ არველაძე ამსტერდამში პრეზიდენტობაზე ფიქრობს

დასაწყისი პირველ გვერდზე

— „მრეტების" ვალის გასტუმრების ამბავი, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა. როგორც იქნა, „დინამომ" თავი დააღწია ამ გაწამაწიას.

**— ახლა კი ყველას „დინამოს" მომავალი აინტერესებს. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა ივანიშვილმა „სარბიელს" განუცხადა, დიდი სურვილი მაქვს, „დინამოს" პრეზიდენტი რევაზ არველაძე იყოსო...**

— თბილისში ათ თებერვალს დავბრუნდები, შევხვდები კლუბის ხელმძღვანელობას და ბევრ საკითხზე მოვილაპარაკებთ. რაც შეეხება ჩემს გაპრეზიდენტებას, ეს კარგად უნდა ავწონდავწონო, თანაც ასეთი სერიოზული საკითხი სატელეფონო საუბრით არ წყდება. შევხვდებით, დავილაპარკებთ და ვნახოთ.

**— ნიკა ივანიშვილისვე თქმით, „დინამოს" წლიური ბიუჯეტი დაახლოებით ოთხი მილიონი ლარი იქნება. თქვენი აზრით, შესაძლოა დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა „დინამოში"?**

— საქმე ისაა, რომ ჩემი სტატუსი „დინამოში" ჯერ გაურკვეველია. როცა თბილისში დავბრუნდები, ალბათ ყველაფერი გაირკვევა და თუ მართლა ოთხი მილიონი ლარი გამოიყოფა „დინამოსთვის", ვთვლი, რომ ეს სავსებით საკმარისი თანხაა ამ ეტაპზე ნორმალური გუნდის შესაქმნელად.

**— ნორმალური გუნდი ერთია, მაგრამ თქვენი სიტყვები რომ გავიხსენოთ, „დინამომ" ხომ მხოლოდ ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს...**

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად ასეც იქნება. სხვაგვარად შეუძლებელია.

**— კი მაგრამ, „დინამო" ხომ ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და გუნდის უცხოური შეკრებაც ვერ მოხერხდა.**

— როცა გუნდს 5-6 წამყვანი ფეხბურთელი დატოვებს, რა თქმა უნდა, რთული მდგომარეობა შეიქმნება. უცხოურ შეკრება ახლა დიდად მნიშვნელოვანი არ არის, ამის ორგანიზება რამდენიმე დღეში შეიძლება. „დინამოს" ახალი პატრონი ჰყავს, თანაც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ჩემი თანამშრომლობის ფორმა კლუბის ხელმძღვანელობასთან. ვნახოთ, რა ამოცანებს დაუსახავენ „დინამოს". ისე კი, რამდენიმე მოთამაშის მიწვევა და გუნდის გაძლიერება ამ ეტაპზევეა შესაძლებელი.

**— უეფაში ევროპულ კლუბთა ორდღიან სემინარზე იმყოფებოდით...**

— შსს-ის მინისტრმა მთხოვა, თბილისში დავრჩენილიყავი, მაგრამ ნიონში ძალიან სერიოზული და საინტერესო ღონისძიება ჩატარდა და ჩავთვალე, რომ ჩემი იქ წასვლა აუცილებელი იყო. იქ ეს ორი საკითხიც განიხილებოდა — კლუბების ლიცენზირება და სატრანსფერო სისტემა. მქონდა მნიშვნელოვანი პირადი შეხვედრებიც.

**— ვიცით, მილანშიც იყავით და „მილანი" — „რეჯინას" მატჩს დაესწარით...**

— მილანში ჩემს მეუღლესთან ერთად გახლდით, კალაძის თამაშის ყურება მაინტერესებდა და კახას წარმატებულმა დებიუტმა მეც გამახარა.

**დავით თაგართქილაძე**

# რუსთა დუმილი და პუნქტი 7.4

## აშვეთიას საქმე დამთავრდა

**გადავიდა** მიხეილ აშვეთია ვლადიკავკაზის „ალანიადან" ქუთაისურ „ტორპედოში" და ოსთა კლუბის ხელმძღვანელობაც დაიმუქრა — ეს ფორვარდი 2002 წლამდე გვეკუთვნის და ჩვენს დაუკითხავად „ტორპედოში" ტრანსფერის გამო მას პროფესიონალი ფეხბურთელის ლიცენზიას ჩამოვართმევთო. „ალანიას" თავკაცობა რუსეთის საფეხბურთო კავშირს შუამდგომლობას სთხოვდა, ჩვენს პრეტენზიებს ფიფა-უეფაც უნდა გაეცნოს და სანქციებს მამართოსო, მაგრამ ყოველივე „ტორპედოს" და აშვეთიას სასარგებლოდ დამთავრდა.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის წესდების 7.4 პუნქტის საფუძველზე გასცა სატრანსფერო სერთიფიკატი აშვეთიას „ტორპედოში" გადასვლის თაობაზე.

საქმე ისაა, რომ მიხეილ აშვეთიას სატრანსფერო სერთიფიკატი რუსეთის საფეხბურთო კავშირს უნდა გაეცა. სფფ-მ ამის თაობაზე 7 დეკემბერს ოფიციალურად მიმართა რუსეთის საფეხბურთო კავშირს, მაგრამ ვინაიდან 60 დღის განმავლობაში რუსებმა სფფ-ს შეტყობინებას არ უპასუხეს, სფფ-მ ფიფას ზემოხსენებული წესდების 7.4 პუნქტის საფუძველზე თავად გასცა სატრანსფერო სერთიფიკატი აშვეთიასთვის.

ამ თავისებურ ბრძოლაში სფფ-სა და აშვეთიას ზურგს უმაგრებდა ის ფაქტი, რომ თბილისის „დინამოდან" „ალანიაში" იჯარის წესით გადასული აშვეთიას სფფ-ის მიერ გაცემული სატრანსფერო სერთიფიკატი ლიმიტირებული იყო 2000 წლის 31 ნოემბრამდე.

**დავით თაგართქილაძე**



მიხეილ აშვეთია

# შეთხელდით, ჩემპიონებო?!

**ორი** კვირაა, ბელგიურ სპაში შეკრებას გადის ქუთაისის „ტორპედო". გუშინ ჩვენმა ჩემპიონმა პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ქუთაისელებმა ბელგიის მეოთხე დივიზიონის „მონტენიე" 3:0 დაამარცხეს და, როგორც „ტორპედოს" მენეჯერმა ვლადიმერ გუცაევმა გვითხრა, ორი ამდენის გატანაც შეეძლოთ. ორი გოლი მიხეილ აშვეთიამ შეაგდო, ერთი — დავით ჯანაშიამ.

გუშინდელ „სარბიელში" ტორპედოელი ზურაბ იონანიძის შესახებ გამცნეთ, კერძოდ ის, რასაც რუმინული გაზეთი „ზუა" იტყობინებოდა: საქართველოს გასული წლის ბომბარდირი ბუქარესტის „რაპიდში" ისინჯებაო. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად ქუთაისში ფეხბურთელის ოჯახს დავუკავშირდით და ესღა გავიგეთ. „ტორპედოს" ხელმძღვანელობას ოთხი დღის წინ მართლა მიუვლენია იონანიძე გასასინჯად ახლა იტალიაში მყოფ რუმინულ კლუბში. გუშინწინ „რაპიდმა" საკონტროლო მატჩში ჩვენებური ერთი ტაიმი ათამაშა. ვერ გეტყვით, შემდეგ რა და როგორ მოხდა, „რაპიდმა" დაიწუნა იონანიძე, თუ იონანიძემ „რაპიდი", ფაქტი კია, ზურაბი იმ დღესვე ბელგიას გადაფრენილა და „ტორპედოს" შეერთებია.

„ტორპედოზე" ვსაუბრობთ და მის ბელგიურ ლაშქარს ჩამორჩენილ ფეხბურთელებზეც მოგახსნებთ. ჩვენი მონაცემებით, ვახტანგ ხვადაგიანი დღესდღეობით რუმინულ „დინამოში" ვარჯიშობს. რევაზ კვერნაძე კვიპროსულ შეკრებაზე ახლავს თბილისის „ლოკომოტივს". გოდერძი გოგოლაძე და კახა ბერელიძე, რომლებიც კვერნაძესთან ერთად „ტორპედოს" ფარმკლუბ „ინტერში" ირიცხებოდნენ, მოლდოვაში, კიშინიოვის „ზიმბრუში" გაემგზავრნენ გასინჯვაზე. „ზიმბრუშივე" აპირებს კარიერის გაგრძელებას კახა ჩხეტიანი. ვახტანგ თურმანიძემ უკრაინას მიაშურა და ტერნოპოლის „ნივაშია". ჯონი შალამბერიძე, იცით, თავის ყოფილ გუნდს „კოლხეთს" შეუერთდა. ალბათ, ფოთშივე ითამაშებს ბადრი ახვლედიანი და, არ არის გამორიცხული, ახლა ბელგიაში მყოფი კახა კვეტენაძეც. გიორგი ჭანტურია „ბათუმში" გადაბარგდა, გია ჩხაიძე „მერანში" ჩაირიცხა. „ტორპედოდან" უფრო ადრე, შარშან ზაფხულს წასულ გიორგი მეგრელაძეზეც გეტყვით. იგი ბერძნულ მესამელიგელ „ლიკ"-ში გაწევრიანებულა და თვეზე მეტია მის ღირსებას იცავს.

ახლა ისევ „ბელგიელ" ქუთაისელებზე, რომლებიც 13 თებერვალს რიგის „სკონტოსთან" ითამაშებენ. მომდევნო საკონტროლო მატჩები 18 და 21 თებერვალსაა დაგეგმილი. 22-ში კი შინ დაბრუნდებიან და ჩემპიონატის განახლებამდე ქუთაისში ივარჯიშებენ.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

**თურქეთი**

თასის ნახევარფინალი

I მატჩი

ბეშიქთაში 1:1 დდ. (პენ. 2-4, 1:1) გენჩლერბირლიგი

**იტალია**

თასის ნახევარფინალი

II მატჩი

პარმა 1:0 უდინეზე

1:0 დი ვაიო (39)

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XXVIII ტური

სოშო 1:0 მონპელიე




☎ (231) 7 17 58

**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური

პროექტით აშენებული

რვაბინიანი სახლის

მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ²

პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"



1998 წლის 12 აგვისტოს „ეროვნულზე“
რუნე პედერსენი „დინამოს“ და „ატლეტიკს“ გამოუძღვა მოედანზე

# ეს ის მსაჯი არ არის?!

## ნეტავ 28 მარტის მერე პედერსენი რუმინელებსაც შესძულდეთ

**ნორვეგიელია,** 39 წლის, ჰყავს ცოტა, მაგრამ გულითადი მეგობარი, გემოვნებით გაფორმებული საკუთარი ვებ-გვერდი აქვს ინტერნეტში. თავისუფალ დროსაც უმეტესწილად ფეხბურთს უკავშირებს, ერთობ დაფასებულია ფიფა-უეფას მსაჯთა კოლეგიაში, საშინლად არ უყვართ გერმანიაში და ერთი სენსაციური, თბილისური საფეხბურთო საღამოს უშუალო მონაწილეა... გამოცანის პასუხი: რუნე პედერსენი, მსაჯი, რომელიც 28 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საქართველო —, რუმინეთის მატჩს განსჯის.

ეს სწორედ ის რუნე პედერსენია, 1998 წლის 12 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა რომ იმსაჯა „ეროვნულზე“. მაშინ „დინამომ“ ბასკური „ატლეტიკი“ 2:1 დაამარცხა.

სამი წლის წინ ნორვეგიელი არბიტრის სტუმრობა ჩვენთვის ფეხბედნიერი გამოდგა. იმ მატჩში პედერსენმა ოთხი ყვითელი ბარათი კი ააფრიალა, მაგრამ მაინც ხისტი ბრძოლის მიმდევრად დაგვამახსოვრა თავი. რა შედეგი მოჰყვება ნორვეგიელი არბიტრის საქართველოში მეორედ სტუმრობას, 28 მარტი გვიჩვენებს, ჩვენ კი ის გავიხსენოთ, რომ „დინამო“ — „ატლეტიკის“ მატჩამდე ერთი თვით ადრე პედერსენმა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრა განსაჯა გერმანიასა და ხორვატიას შორის და ცხარე ცრემლით ატირა ფავორიტები: ნორვეგიელმა საეჭვო ვითარებაში გერმანელებს ვიორნსი გაუგდო. კაცნაკლული მეტოქე კი ხორვატებმა 3:0 დაამარცხეს. ამას გვარიანი სკანდალიც მოჰყვა. გერმანელები არბიტრის დისკვალიფიკაციას ითხოვდნენ, მაგრამ საბოლოოდ პედერსენისთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ საქართველო — რუმინეთის მატჩის თანამსაჯები და სათადარიგო არბიტრიც ნორვეგიელები არიან. პედერსენის გარდა საქართველოში ერიკ რასტადი, სტეინარ ჰოლ...კი და ტერე ჰაუგეც ჩამოვლენ. წინასწარი ინფორმაციით, ნორვეგიელ მსაჯთა ბრიგადა თბილისს 27 მარტს ეწვევა.

ჩვენი ნაკრები ფეხბედნიერი პედერსენის იმედად რომ ვერ იქნება, ცხადზე ცხადია, მაგრამ ფაქტია, ეს კაცი ფავორიტებს არ სწყალობს. ჩვენ კი თავს გამოვუტყდეთ და ვთქვათ, რუმინეთიც ხომ ფავორიტია.

**ბაატა ქვანტალიანი**

# სად ხართ, ბიჭებო?

**გაურკვეველია** მახაჩყალურ „ანჟიში“ გასინჯვაზე მყოფი ახალგაზრდა რუსთაველების — დავით ზაზაშვილის და დავით ჩოხელის ბედი. „ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა ისინი საამიროებში იახლა შეკრებაზე და მათი გუნდში დარჩენის საკითხი საამიროებიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გადაეწყვიტა.

შეკრებაზე ქართველებმა რამდენიმე საკონტროლო მატჩში ითამაშეს და იმედოვნებდნენ, რომ „ანჟიში“ მოეწყობოდნენ, მაგრამ... მახაჩყალაში დაბრუნებულმა გაჯიევმა ის 25 ფეხბურთელი დაასახელა, ვინც მორიგ შეკრებაზე მალაგაში გაემგზავრება. ქართველები ამ სიაში არ არიან. გაჯიევის პასუხი მოკლეა, ვისაც მალაგაში არ წავიყვან, არც გუნდში ავიყვან.

რუსთავული „ხალიბის“ მწვრთნელ მურმან გოგოლაძის თქმით კი, ამჟამად ჩოხელი და ზაზაშვილი მოსკოვში იმყოფებიან და „ანჟის“ სარეზერვო გუნდთან ერთად კისლოვოდსკში გამგზავრებას აპირებენ.

**ბაატა ქვანტალიანი**


**ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა**

სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება



**HERBAL VY — მამაკაცებისთვის** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

**HERBAL VY** — „ვიაგრა“ — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.*

აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორ[illegible]“ ტ. 99-87-37



# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

- პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# თუ გაუძელი, მაგარი ხარ...

## რა საერთო აქვთ ზავაროვსა და კალაძეს?

**პირველი**, ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან იტალიის სერია A-ში წავიდა, ალექსანდრ ზავაროვი იყო. 1988 წლის ზაფხულში კიევის დინამოელის „იუვენტუსში" გადასვლა თითქოს დაუჯერებელი ჩანდა.

„რაკი ასეთ გუნდში მიმიწვიეს, გამოდის აღიარებენ, რომ კარგი ფეხბურთელები საბჭოეთშიც არსებობენ. ისინი არაფრით ჩამორჩებიან ევროპელ ვარსკვლავებს.

იტალია ის ქვეყანაა, სადაც ნამდვილი გამოცდა უნდა ჩააბარო. თუ გაუძელი, ნაღდად მაგარი ხარ. ახლა მთავარია ტრავმებმა არ შემიშალოს ხელი. დანარჩენი, ყველაფერი კარგად იქნება" — ეს სიტყვები ზავაროვმა ტურინში ჩასვლისას უთხრა დამხვდურ ჟურნალისტებსა და ტიფოზებს.

„ის დიდებული ფეხბურთელია. ძალიან ტექნიკური და სწრაფი" — წერდნენ იტალიური გაზეთები. მოკლედ, ავანსი გაიცა და ზავაროვიც საქმეს შეუდგა. ჩინებულ ფორმაში იყო და თითქოს ტურინულ კლუბშიც არ უნდა დაკარგულიყო, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა.

ამბობდნენ, საბჭოთა სკოლას მიჩვეულმა უცხოურ გარემოს ალღო ვერ აუღოო. ასაკითაც აღარ იყო ახალგაზრდა. არადა, უნიჭიერესი ფეხბურთელი გახლდათ. ხშირად ლამის მარტოს მოუგია კიევის „დინამოსა" თუ საბჭოთა ნაკრების პრინციპული მატჩები. ლობანოვსკის გამოზრდილს აბა, რომელი იტალია შეაშინებდა, მაგრამ...

იტალიაში არაფერი გამოუვიდა მინსკელ სერგეი ალეინიკოვსაც. კიეველი ალექსეი მიხაილიჩენკო კი „სამპდორიაში" მაშინ გადავიდა, როცა გუნდს არნახული აღზევების ხანა ედგა. სკუდეტოც მოიგო, თითქოს ცუდადაც არ თამაშობდა, მაგრამ ლიდერად კი ვერ იქცა.

მერე „რომაში" ქართული სკოლის აღზრდილი, ყოფილი თბილისის დინამოელი ომარ თეთრაძეც გამოჩნდა, მაგრამ მძიმე ტრავმამ დიდი ხნით ჩამოაშორა ფეხბურთს და ბოლოს საბერძნეთში გადაბარგდა. ვერც ომარის კარიერა შედგა აპენინებზე.

თითქოს დაინავსნენო და შარშანწინ „მილანში" გადასულ ანდრეი შევჩენკოსაც მსგავს გაურკვეველ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ის კი პირველივე სეზონში სერიის მთავარი მეგოლე გახდა და დაამტკიცა, რომ ახლა სხვა დროა, სხვაგვარია პოსტსაბჭოთა ფეხბურთელების ახალი თაობის აზროვნებაც და რაღა გასაკვირია, რომ კახა კალაძის კარგი მომავლისა ამიტომაც გვჯერა.

შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, ამ საბჭოეთს რას გადაეკიდა, სამაგალითო და შესადარებელი დაილიაო?! მაგრამ იმავე შევჩენკოსა და კალაძეს დაახლოებით თანაბარ პირობებში, ანუ ჯერ კიდევ ერთიან ქვეყანაში მოუწიათ ცხოვრება. ოქტომბრელობა-პიონერობაც გამოსცადეს და წლების მანძილზე იმ ხალხის დარიგებებს ისმენდნენ, ვინც მენტალურად (და რეალურადაც) ზავაროვ-ალეინიკოვის თუ უფრო ადრეული ეპოქისანი იყვნენ. ისე ნუ გაგვიგებენ, თითქოს მათი მწვრთნელებისა და დამრიგებლების რამე საწინააღმდეგო გვქონდეს. პირიქით... აქ ლაპარაკია იმ დროზე, რომელმაც ასე სწრაფად გაირბინა, კიდევ ერთი ათწლეული მოინელა და ყველაფერი ისე შეცვალა, ლამის ეჭვიც კი შეგვეპაროს, მართლა ვცხოვრობდით თუ არა იმ ქვეყანაში.

ანდრეი შევჩენკოს რომ მოუსმინოთ, ვერაფრით გაარჩევ უბრალო თბილისელი ბიჭის ნაამბობისგან: სკოლის უკან ხან ვჩხუბობდით, ხან სიგარეტს ვეწეოდითო, შატალოები და პირველი მაისის ალლუმიდან გაპარვა გვიყვარდაო, პიონერებში მიღებას და შაბათობებს რა დამავიწყებსო, ჩემი ბავშვობის ზოგიერთი ძმაკაცი ისევ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს, დილით „პახმელიაზე" გასტრონომთან დგას და ერთი ბოთლი ლუდის ფული არა აქვს, მე კი, როგორც შემიძლია, ყველას ვეხმარებიო...

ასეთები არიან. საბჭოურიც აცხიათ და ბოლო ათწლეულის ბეჭედიც. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ გარემოში ჩამოყალიბდა პიროვნულად კალაძე. 13-14 წლის იყო, როცა საქართველოში ყველაფერი თავდაყირა დადგა. წლების მანძილზე დანგრეულ და არეულ ქვეყანაში ცხოვრობდა. საქართველოს ჩემპიონატში თამაშიც ნელ-ნელა უაზრობად იქცა. მაგრამ მაინც ივარგა, კიევშიც დროულად წავიდა და როგორც თავად ამბობს, ლობანოვსკის ხელში ნამდვილ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა.

მეორე მხრივ, კალაძეს გაუმართლა კიდეც. ის ქართულ ფეხბურთში 90-იანის შუაში გამოჩნდა. ამ დროს ყველაზე რთული წლები უკვე გასულიყო. წლები, როცა უამრავი ნიჭიერი მოთამაშე დაიკარგა. თუნდაც კეტაშვილი და ფანცულაია გავიხსენოთ. იმ თაობიდან სულ რამდენიმემ შეძლო თავის გამოჩენა. უპირველესად გია გურულმა, კახა ცხადაძემ და თემურ ქეცბაიამ. მათ საკუთარი შრომითა და ნებისყოფით მოახერხეს ევრო ფეხბურთი ეთამაშათ.

არადა, ისინი, ვინც უცხოეთში პირველ წლებში წავიდნენ, „ცოტათიც" დაკმაყოფილდნენ. „ცოტათი" საფეხბურთო ევროპის გადმოსახედიდან. მათ გამარჯვებების ჟინი დაკარგეს და ისტორიაში ჩაიკარგნენ.

მაგრამ დრო არ ჩერდება და დღეს, საბედნიეროდ, ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი ყველაფერს სხვა თვალით უცქერს. ამათ კარგად იციან, რომ ფული და უზრუნველყოფილი ცხოვრება კარგია, მაგრამ იმასაც ხვდებიან, რომ თუ არ დაიზარებენ და ბევრ ოფლს დაღვრიან, ფულიც მეტი ექნებათ და პატივიც. თითქოს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მის შესრულებას ცოტა თუ ახერხებს.

| სერია A-ს ყველა ლეგიონერი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან | | | | |
|---|---|---|---|---|
| წელი | მოთამაშე | სად | საიდან | ასაკი |
| 1988 | ალექსანდრ ზავაროვი | იუვენტუსი | დინამო კიევი | 27 |
| 1989 | სერგეი ალეინიკოვი | იუვენტუსი | დინამო მინსკი | 27 |
| 1990 | ალექსეი მიხაილიჩენკო | სამპდორია | დინამო კიევი | 27 |
| 1991 | იგორ შალიმოვი | ფოჯა | სპარტაკი | 22 |
| 1991 | იგორ კოლივანოვი | ფოჯა | დინამო მოსკოვი | 23 |
| 1992 | იგორ დობროვოლსკი | ჯენოა | სერვეტი | 24 |
| 1994 | იგორ სიმუტენკოვი | რეჯანა | დინამო მოსკოვი | 21 |
| 1997 | ომარ თეთრაძე | რომა | ალანია | 27 |
| 1997 | ანდრეი კანჩელსკისი | ფიორენტინა | ევერტონი | 27 |
| 1998 | დმიტრი ალენიჩევი | რომა | სპარტაკი | 25 |
| 1999 | სერგეი ატელკინი | ლეჩე | შახტარი | 27 |
| 1999 | ანდრეი შევჩენკო | მილანი | დინამო კიევი | 23 |
| 1999 | სერგეი გურენკო | რომა | ლოკომოტივი მოსკოვი | 26 |
| 2001 | კახა კალაძე | მილანი | დინამო კიევი | 22 |

ექვსი წლის წინათ თბილისში გერმანიის ნაკრები ჩამოვიდა. მაშინ ჩვენს ფეხბურთელებს ისინი ღმერთები ეგონათ. დღეს კი კალაძე ამბობს, რომ არც „მილანში" მისვლას და არც „სან სიროზე" პირველ მატჩს არ დაუთრგუნავს. ჩემპიონთა ლიგაში თამაშისას ევროპის უდიდესი სტადიონები შემოვიარე და აბა, რაღა დამაბნევდაო. მართლაც, კალაძეს უთამაშია მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე", მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე", მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" და რომის „სტადიო ოლიმპიკოზე", უფრო პატარებზე აღარაფერს ვამბობთ. ესენი საფეხბურთო თეატრებია. ყოველ მათგანზე განსაკუთრებული გარემოა. ლეგენდა-სარბიელებზე უმაღლესი დონის მატჩებში მიღებული გამოცდილება თავისას აკეთებს. კალაძეს „სან სიროზეც" ორჯერ უთამაშია და გოლიც გაუტანია, მაგრამ ისინი „მილანის" წინააღმდეგ ამხანაგური მატჩები იყო. ახლა კი უკვე „თავის" „სან სიროზე" მოუწევს დამკვიდრება.

პირველმა მატჩმა „რეჯინასთან" ჩინებულად ჩაიარა. ქართველის მიმართ არაერთი საქებარი სიტყვა ითქვა, რომლებსაც გუშინდელ და გუშინწინდელ „სარბიელშიც" წაიკითხავდით. დღეს ერთს დავამატებთ. ამ თამაშს რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეციც დასწრებია. ჩვენიანის თამაში ერთობ მოსწონებია, მეორე დღეს კი მილანელთა საწვრთნელ ბაზაზე მისულა, შევჩენკო და კალაძე მოუკითხავს და იტალიელი ჟურნალისტებისთვის უთქვამს: „ქართველმა ძალიან კარგად ითამაშა. შეცდომები არ დაუშვა და გუნდის დაცვა საგრძნობლად გააძლიერა. ვიცი, რას ნიშნავს „სან სიროზე" თამაში, სამოციან წლებში იქ არაერთხელ გამოვსულვარ და გეტყვით, მართლაც განსაკუთრებული რამ არის. ყოჩაღ კახა!"

ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა ისიც დაწერეს, რომ დღეს სერია A-ში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ სამი ფეხბურთელი თამაშობს: შევჩენკო, კალაძე და რუსი იგორ კოლივანოვი („ბოლონიაში"). ექსლოკომოტიველი ბელარუსი სერგეი გურენკო კი „რომამ" ამ ზამთარს ესპანურ „სარაგოსაში" გაუშვა.

ჯერი კახაზეა. თორემ თითო წარმომადგენელი სერიაში, ვთქვათ, ალბანეთს, სლოვაკეთსა და სიერა ლეონესაც ჰყავთ. პირველი დღეები გაივლის, ხმაური მიწყნარდება და ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამუშაო დაიწყება. აი, სწორედ ეს დროება იქნება ყველაზე ძნელი. ავანსი გაცემულია, მაგრამ როგორი კარგი თვალითაც არ უნდა უყურებდნენ, ქართველმა ყველაფერი მინდორზე თავისი თამაშით და ქცევით უნდა დაიმსახუროს.

ახლა კი ჩვენი წერილის ქვესათაურში დასმული კითხვის შესახებ. ზავაროვს და კალაძეს საერთო ის აქვთ, რომ ორივე ლობანოვსკის ნაშეგირდალია და აპენინებს ორივე კიევიდან გადაბარგდა. მაგრამ ის დრო, როცა ზავაროვი ტურინს ჩადიოდა, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და ლობანოვსკიც დაბერდა...

**სოლომონ გულისაშვილი**



1988 წლის ოქტომბერი. იუვენტუსელი ალექსანდრ ზავაროვი და მილანელი რუუდ გულიტი




2001 წლის თებერვალი. მილანელმა კახა კალაძემ სერია A-ში პირველად „რეჯინას" წინააღმდეგ ითამაშა



კახა კალაძე პირველ ტაიმში „მილანის“ დაცვას ამაგრებდა, მეორეში — ნახევარდაცვას

# კალაძემ ძაკერონის აჯობა

## იტალია

### თასის ნახევარფინალი. II მატჩი

### ფიორენტინა 2:0 მილანი (2:2)

1:0 კიეზა (40), 2:0 რუი კოშტა (81)
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა, პიერინი, ვანოლი, ბრეშანი, კ. ამორუზო, დი ლივიო (მორეტი 87), რუი კოშტა (ადანი 85), კიეზა (მარკო როსი 69), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კალაძე, კოსტაკურტა, მალდინი, ალბერტინი, კოკო (ლეონარდო 46), ბა (ხოსე მარი 76), ჯუნტი (სერჯინიო 64), შევჩენკო, კომანდინი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ჯუნტი, კიეზა, ვანოლი, ნუნუ გომეში
25 000 მაყურებელი

**კახა კალაძემ** ისე ითამაშა, როგორც მისგან ელოდნენო, წერენ იტალიური წყაროები. ტელეკომპანია „რაი უნომ“ ფეხბურთელთა შეფასებები რომ ჩამოწერა, საქართველოს ნაკრების მოთამაშეს 5,5 არგუნა. მის თანაგუნდელთაგან მეტი ერგოთ მეკარე აბიატის (7), მალდინის (6) და ალბერტინის (6). კალაძისნაირად შეფასდნენ როკე ჟუნიორი, ბა, ჯუნტი, ლეონარდო და კომანდინი. 5 ქულა ხვდათ კოსტაკურტას, კოკოს, შევჩენკოს და ასე განსაჯეთ მწვრთნელს — ალბერტო ძაკერონის. აი, ძაკერონის მეტოქე — კოლეგას, გამარჯვებულ ფატიჰ თერიმს, რომელმაც „ფიორენტინა“ იტალიის თასის ფინალში გაიყვანა, ტელემიმომხილველებმა შვიდიანი დაუწერეს.

კაცმა რომ თქვას, მილანელთა ბანაკი თვლის, რომ ცუდად სულაც არ უთამაშიათ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ წააგეს — ხდება ხოლმე. „მილანმა“ თავისი შანსი მაშინ გაუშვა, როდესაც კომანდინიმ ტოლდოსგან მარცხენა ძელს გაარტყა ბურთი. სამაგიეროდ, კიეზამ დაარტყა პირველი ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ზუსტად და „ფიორენტინა“ დააწინაურა. სხვათა შორის კიეზასთვის ეს უკვე მეთერთმეტე სათასო გოლი იყო შავ-წითელი გუნდის კარში.

მეორე გოლი ფლორენციელებმა თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე შეაგდეს — ეს რუი კოშტას ინდივიდუალური დიდოსტატობის შედეგი იყო. პორტუგალიელმა ჯერ დრიბლინგით გამოიჩინა თავი, მერე კი მარჯვენა კუთხეში ზუსტი დარტყმით.

როგორც მოგახსენეთ, მილანელებს ცუდად არ უთამაშიათ. ისინი სწრაფად მოქმედებდნენ, ბურთს გამართულად აგორებდნენ და რაც ყველაზე თვალშისაცემი გახლდათ, დაცვაში ოთხი კაცით თამაშობდნენ, ცენტრში კალაძე კოსტაკურტას მეწყვილედ მოგვევლინა, თუმც მეორე ნახევარში წინ მოძრაობის თანაბარი უფლებაც მიიღო.

# გერმანელი მოყვარულების მოყვარული გენერალი

## გერმანია

### თასის ნახევარფინალი

### შტუტგარტი 0:3 შალკე

0:1 სანდი (3), 0:2 ასამოა (6), 0:3 მპენზა (18)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, თ. შნაიდერი, სოლდო, ბორდონი, გერბერი (ტიფი 72), ლისტეში (ზაიცი 20), კუფი (პინტუ 46), ტიამი, ბალაკოვი, განია, ადემარი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი, ჰაჰე, ვან ჰუგდალემი, ვან კერკჰოვენი, მიოლერი, ბიუსკენსი (აიგენრაუხი 74), ასამოა (კმეტჩი 85), სანდი (მულდერი 78), ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ბორდონი, ნემეცი
35 000 მაყურებელი

**ოთხშაბათს** შტუტგარტის სტადიონზე გელზენკირხენიდან ქარიშხალი მოვარდა, რომელმაც მინდვრის ერთ ნაწილზე 20 წუთის განმავლობაში ცოდვა დაატრიალა, სოდომ-გომორი მონაგონი იყო. ქარიშხალმა „შალკე 04“-ის სახელწოდებით იმ 20 წუთში საფეხბურთო კლუბი „შტატგარტი“ წალეკა. ვინც ოთხშაბათსვე ტელევიზორში „შტუტგარტი“ — „შალკეს“ შორის გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩის ხილვა ისურვა, მაგრამ ტელევიზორი 18 წუთის დაგვიანებით ჩართო, შეძლო, ისევ გამოერთო, რადგან ყველაფერი მორჩენილი იყო.

ქარაგმებით ლაპარაკს თავი ვანებოთ და პირდაპირ ვთქვათ — „შალკემ“ სტუმრად „შტუტგარტს“ გადაუარა, 3:0 მოუგო და გერმანიის თასის ფინალში გავიდა, სადაც 26 მაისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ იქაურ სამოყვარულო გუნდს „უნიონს“ დაუპირისპირდება.

გერმანულმა ტოტალიზატორებმა ალარ იცოდნენ, ამ მატჩის წინ რომელი გუნდი ჩაეთვალათ ფავორიტად. მთელი სეზონის მიხედვით თუ იმსჯელებდნენ, ყველაფერი ცხადი იყო, „შალკე“ თავის თითქმის ასწლიან ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონს ატარებს, „შტუტგარტი“ კი პირიქით, ბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია, თუმცა...

წინა უქმეებზე ბუნდესლიგის ბოლო ტურში „შალკე“ დებიუტანტ „კოტბუსთან“ 1:4 შერცხვა და ლიდერობა დაკარგა, „შტუტგარტმა“ „კაიზერსლაუტერნს“ უმასპინძლა და 6:1 გაანადგურა. თუ გავითვალისწინებდით, რომ „შტუტგარტი“ ისევ მასპინძელი იყო, ცხადია, წარმატების შანსიც უორმაგდებოდა. ჰოდა, წყვილშიც ფავორიტად რალფ რანგნიკის გუნდი შეირაცხა.

...და მატჩიც დაიწყო:

მე-3 წუთზე ბიუსკენსმა მპენზას ფლანგზე მიაწოდა, ბელგიელმა თავდამსხმელმა ჩააწოდა, საჯარიმოში კი ყველას დანიელმა ებე სანდმა დაასწრო და თავით ანგარიში გახსნა. სანდმა დაამტკიცა, რომ გერმანიის საუკეთესო ბომბარდირი შემთხვევით არ არის — 14 ბუნდესლიგურ გოლს, თასის ხუთ შეხვედრაში გატანილი მეოთხე ბურთი მიუმატა.

მე-6 წუთზე ასამოამ დრიბლინგით მეურვეები ჩამოიცილა და დაახლოებით 17-18 მეტრიდან ძლიერად დაარტყა. ჰილდებრანდმა „შტუტგარტი“ ვერც ამჯერად იხსნა.

მე-18 წუთზე სანდი-ბიუსკენსის კომბინაცია მპენზას შეუჩერებელი და ზუსტი დარტყმით დასრულდა.

„ეს იყო „შალკეს“ ყველაზე ლამაზი 18 წუთი“ — ასე მონათლა მატჩის დებიუტი გერმანულმა „ბილდმა“.

ამის შემდეგ მინდორზე დიდი არაფერი მომხდარა. „შალკე“ გაჩერდა და ანგარიშის შენარჩუნებისთვის დაიწყო ზრუნვა, მასპინძლები კი ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ. ერთი, რასაც გამორჩნენ, თუ ამას გამორჩენა ჰქვია, ადემარის მიერ ჯარიმიდან ძელისთვის გარტყმული ბურთი იყო.

1972 წლის მერე „შალკე“ პირველად გავიდა გერმანიის თასის ფინალში. მაშინდელი გასვლა გელზენკირხენელთათვის იღბლიანი იყო — „შალკემ“ „კაიზერსლაუტერნი“ 5:0 გაანადგურა. ახლა მისი მეტოქე ბევრად უფრო სუსტია, თანაც თავად „შალკეც“ გაძლიერდა. უკვე დუბლზეც ფიქრობს.

„რატომაც არა? ჩვენ თუ ისე ვითამაშეთ, როგორც დღევანდელი მატჩის საწყისი წუთები, დუბლს იოლად შევასრულებთ“ — ამბობს „შალკეს“ ჰოლანდიელი თავკაცი ჰუუბ სტევენსი, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა 1997 წელს უეფას თასი მოიგო.

მაგრამ დათმობს კი ფინალს სამოყვარულო „უნიონი“? ამ კლუბის ფინალში გასვლა გერმანიაში უდიდეს სენსაციად აღიქვეს. გუნდი, რომელსაც ვალების გამო, რამდენიმე წლის წინ მეორე ბუნდესლიგიდან ჩამოაქვეითეს. მას მერე „უნიონი“ იქ დაბრუნებისთვის იბრძვის, თუმც ვერ ახერხებს. შარშან ცოტა დააკლდა, გადამწვეტი მატჩი „ოსნაბრუკთან“ პენალტებით დათმო (8:9).

„მიზანს მივაღწევთ, მეორე ბუნდესლიგაში ალვზევდებით, მერე კი წინსვლაზე ვიფიქრებთ. მანამდე კი თასი უნდა მოვიგოთ“ — ამბობს „უნიონის“ ბულგარელი მთავარი მწვრთნელი გეორგი ვასილიევი, რომელიც შეგირდები „გენერალს“ ეძახიან. ფეხბურთელებს „გენერალიც“ ემადლიერება — „მე საუკეთესო ბიჭები მყავს მსოფლიოში“.

უნიონელები მართლაც თავს არ ზოგავენ. ნახევარფინალში „გლადბახთან“ გუნდის კაპიტანი შტეფან მენზე დაუბრუნდა მინდორს, მას ოთხი თვე არ ეთამაშა ტრავმის გამო, სამშაბათს კი დაბრუნდა და მე-80 წუთზე თავური გოლით მატჩი პენალტებამდე მიიყვანა. ლიბერო იენს ჩიდელსაც ფეხი აწუხებდა, მან ტკივილგამაყუჩებლით ითამაშა, რომელიც 90 წუთს ეყო. დამატებით დროში საშინელ ტკივილს გრძნობდა, მაგრამ თანაგუნდელების მიტოვება წამითაც არ უფიქრია.

შეაჩერებს ასეთ თავდადებას „შალკე“? 26 მაისს გამოჩნდება.

**ვანო ოქროპირიძე**



REUTERS

სტუმარი ორჟი ნემეცი და მასპინძელი კრასიმირ ბალაკოვი ერთმანეთს ხელდახელსაც შეებნენ



REUTERS

ევერტონელი კევინ კემპბელი ლუკას რადებესა (მარცხნივ) და რიო ფერდინანდის შორის გაიჩხირა

# გამოტოვებული სცენარი

## ინგლისი

### გადადებული მატჩი

### ევერტონი 2:2 ლიდსი

1:0 ფერგიუსონი (22), 1:1 ჰარტი (66), 2:1 კემპბელი (74), 2:2 დაკური (76)
ევერტონი: ჟერარი, ვეირი, გაფი, ბოლი, უოტსონი, ჯემილი, გრავესენი, ნეისმიტი, მური (ანსუორთი 66), კ. კემპბელი, დ. ფერგიუსონი (ტალი 35)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, რადებე, ჰარტი, ბოიერი (ბაკე 79), ბეტი, დაკური, მატეო (უილკოქსი 77), რობი კინი (ა. სმიტი 74), ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ნეისმიტი, ჯემილი, გრავესენი, რადებე
34 224 მაყურებელი

**ეს** ცნობილი, მიმზიდველი სცენარი იყო. გუნდებს სამი ქულა აშორებდათ. ტრავმებით, არეული სეზონით ტანჯული ორი გუნდი, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის ალმასვლისთვის — „ევერტონს“ და „ლიდსს“ გვარიანი თამაში გამოუვიდათ. „ევერტონი“ ორჯერ იგებდა და ოცდათხუთმეტ წუთს მოედანზე ჰყავდა დანკან ფერგიუსონი, რომელიც კვლავ დაშავდა, თუმცა კი მანამდე ანგარიშის გახსნა მოასწრო.

სტუმართა მეკარე ნაიჯელ მარტინი არაერთგზის შეცდა, „გუდისონ პარკის“ ტრიბუნაზე კი იჯდა სვენ გორან ერიკსონი, რომელიც ორივე გუნდის, ძირითადად კი იორკშირელთა ყმაწვილებს აკვირდებოდა. ლი ბოიერი ლამის პირდაპირ ჰალის სასამართლო დარბაზიდან მიფრინდა ლივერპულში, რათა ნაკრების ახალი მწვრთნელისთვის თავი შეეხსენებინა: პირველ ოც წუთს მეტად ეფექტურადაც ირჯებოდა, მაგრამ მერე თამაშის მდინარებაში ჩაიკარგა. იან ჰარტმა 66-ე წუთზეღა გაათანაბრა, მაგრამ შვიდ წუთში კევინ კემპბელი დაუძვრა მეტოქეებს და მასპინძლებს თითქოს დაუბრუნა კიდეც დავიწყებული გამარჯვების გემო.

მაგრამ პრემიერლიგის თავის დროზე გამოტოვებული მატჩი ამით არ დასრულებულა — ყოფილმა ევერტონელმა, ფრანგმა ოლივიე დაკურმა ასხლეტილ ბურთს მიუსწრო და საბოლოო შედეგიც ფრე — 2:2 გამოვიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 26 | 19 | 5 | 2 | 58:16 | 62 |
| არსენალი | 26 | 13 | 8 | 5 | 42:23 | 47 |
| ლივერპული | 25 | 13 | 5 | 7 | 46:27 | 44 |
| სანდერლენდი | 26 | 12 | 7 | 7 | 31:24 | 43 |
| იფსვიჩი | 25 | 12 | 4 | 9 | 37:32 | 40 |
| ლიდსი | 26 | 11 | 6 | 9 | 39:35 | 39 |
| ლესტერი | 25 | 11 | 6 | 8 | 26:27 | 39 |
| ჩელსი | 25 | 10 | 7 | 8 | 47:32 | 37 |
| ნიუკასლი | 25 | 11 | 4 | 10 | 32:35 | 37 |
| ჩარლტონი | 26 | 10 | 7 | 9 | 34:38 | 37 |
| ტოტენჰემი | 26 | 8 | 9 | 9 | 30:34 | 33 |
| ასტონ ვილა | 24 | 8 | 8 | 8 | 27:26 | 32 |
| საუთჰემპტონი | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | 32 |
| ვესტ ჰემი | 25 | 7 | 10 | 8 | 32:30 | 31 |
| ევერტონი | 26 | 7 | 7 | 12 | 28:39 | 28 |
| დერბი ქაუნთი | 26 | 6 | 9 | 11 | 27:43 | 27 |
| მიდლსბრო | 26 | 5 | 11 | 10 | 30:33 | 26 |
| სიტი | 26 | 5 | 8 | [illegible] | 30:45 | 23 |
| ქოვენთრი | 26 | 5 | 6 | 15 | 23:45 | 21 |
| ბრედფორდი | 25 | 3 | 7 | 15 | 16:46 | 16 |



გაძევებულ ლიუბომირ მორავჩიკს (№2) მიხაელ მოლსმა ალიყური მიაყოლა

# ბარსას დიდებმა ბიჭი არ დააჩაგვრინეს

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

II მატჩები

**ბარსელონა 1:1 ესპანიოლი (2:1)**

1:0 დე ბური (7), 1:1 როხერი (19)

ბარსელონა: რეინა, რაიციგერი, აბელარდო, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ, ლუის ენრიკე, ოვერმარსი (ალფონსო 14; ხერარდი 79), რივალდო, კლუივერტი

ესპანიოლი: არგენსო, ნავასი, სოლდევილა, ლოპო, ტოლედო, სერხიო, მორალესი, ველამასანი, ოსკარი (მარტინ პოსე 61), როხერი (ლარდინი 65), ტამუდო (ნიშიძავა 80)

გაფრთხილება: მორალესი, ალფონსო, ნავასი, კლუივერტი, გვარდიოლა, რივალდო, სოლდევილა

გაძევება: კოკუ (70)

75 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 სელტა (1:3)**

1:0 ნადალი (47), 1:1 კატანია (73), 2:1 ენგონგა (84პ)

მალიორკა: ლეო ფრანკო, ოლაიზოლა, ნადალი, სივიერო, მიგელ სოლერი, ნოვო (არმანდო 62), ენგონგა, კარერასი (ბიაჯინი 66), ფინიდი, ეტოო, ლუკე

სელტა: პინტო,ველასკო, კასერესი, იაგო, ხუანფრანი, ვაგნერი (ედუ 61), ჯოვანელა, კარპინი (ხაიო 61), მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ტომასი 90), კატანია

გაფრთხილება: ფინიდი, ენგონგა, ლუკე, ვაგნერი, ველასკო

გაძევება: ოლაიზოლა (65), ეტოო (82)

20 000 მაყურებელი

**სარაგოსა 2:0 რასინგი (1:1)**

1:0 აკუნია (32), 2:0 აგუადო (58)

სარაგოსა: ხუანმი, გურენკო, პაკო ხემესი, აგუადო, ლანა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ხუანელე (იორდი 79), ჟამელი, მარტინ ველისკა (ფერონი 89), ესნაიდერი (კუარტერო 75)

რასინგი: სებალიოსი, მელბერგი, არსენო, რამოსი, ხუანმა, კოლსა, ხაიმე (ზანხარინი 64), კარდენასი (ამავისკა 46), ხულიო, რეგუერო (მორანი 68), მაცონი

გაფრთხილება: არსენო, ხულიო, ხუანმა

16 000 მაყურებელი

**ესპანეთის** თასის ოთხივე ნახევარფინალისტი გაირკვა. ოთხშაბათს „ბარსელონამ“ „კამპ ნოუზე“ თანაქალაქელ „ესპანიოლს“ უმასპინძლა. დერბი დაძაბული, საინტერესო და წითელ-ყვითელი ბარათებით დახუნძლული გამოდგა. მატჩის დასაწყისი „ესპანიოლს“ განადგურებას უქადდა. მსაჯის სასტვენიდან სულ რამდენიმე წუთი იყო გასული, როდესაც ხოსეპ გვარდიოლას კუთხურს ფრანკ დე ბური მარჯვედ დაუხვდა და ბურთიც მასპინძელთათვის სასურველ ალაგას მოათავსა. რამდენიმე წუთში ლუის ენრიკემ, რომელიც ბოლო დროს მეტოქეთა კარის რისხვად იქცა, მეკარე არგენსო გვარიანად ანერვიულა, ბურთი სასწაულებრივად მოაგერიებინა.

ამ მომენტის შემდეგ სურათი შეიცვალა. „ესპანიოლი“ გამოცოცხლდა და მალე სასურველსაც მიაღწია. გოლი „ბარსას“ პირტიტველა მეკარის, ხოსე მანუელ რეინას მარცხს მოჰყვა. ბიჭი ჩაკიდებულ ბურთს ოსტატურად დაეუფლა, თუმც დაშვების დროს ხელიდან გაუვარდა და იქვე ჩასაფრებულმა როხერმა აუღელვებლად გაათანაბრა.

გოლის შემდეგ სტუმრებმა მეტისმეტი მოინდომეს. ტამუდო-ველამასანის დუეტმა თანაგუნდელებთან ერთად მწყობრად შეუტია რეინას კარს. ამას მასპინძელთა უხეშობა მოჰყვა. პირველი ალფონსო გააყვითლეს. მას არც გვარდიოლა და რივალდო ჩამორჩნენ, ხოლო კოკუმ ძალიან მოიწადინა და მოედანი დროზე საკმაოდ ადრე დატოვა. ვნებები სათამაშო მოედნის გარეთაც მძვინვარებდა. მსაჯის თვალს კი რა გამოეპარება? უკმაყოფილო ლორენს სერა ფერერი მაშინღა დამშვიდდა, მსაჯებმა რომ გააფრთხილეს. „ბარსას“ დაბნეულობას შეცვლაზე შესული ნიშიძავას გოლი მოჰყვა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე იყოო. საბოლოოდ მატჩი ფრედ დამთავრდა. თასის შარშანდელი მფლობელი გათამაშების მიღმა დარჩა, ხოლო „ბარსა“ სამეფო ჯილდოს იმედით უმზერს.

დაძაბული გამოდგა შეხვედრა მალიორკაზე. გალისიური „სელტა“ ორი მატჩის ჯამში ნახევარფინალში გაძვრა. „მალიორკა“ ყოფილი ბარსელონელის, მიგელ ანხელ ნადალის თავურით დაწინაურდა, რასაც კატანიამ თავურითვე უპასუხა. მატჩის ბოლო წუთებამდე ანგარიში საყაიმო იყო. ენგონგას თერთმეტმეტრიანი, რომელიც მსაჯის საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე დაინიშნა, ნახევარფინალის საგზურისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ლუის არაგონესის გუნდმა თასზე ფიქრი შემდეგი სეზონისთვის გადადო.

თასისთვის მოცილეთა რიგს სანტანდერის „რასინგიც“ გამოაკლდა.

კანტაბრიელებმა სარაგოსელ ტორო აკუნიას და ხავიერ აგუადოს გოლებს ვერაფრით უპასუხეს.

**გიორგი მამარდაშვილი**



ბარსელონა — ესპანიოლი 1:1. ტყუილად უხარია: ნიშიძავას გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს

# ომი და... ომი

## შოტლანდია

### ლიგის თასის ნახევარფინალი

**სელტიკი 3:1 რეინჯერსი**

1:0 სატონი (6), 2:0 ლარსონი (17), 2:1 ალბერტცი (37პ), 3:1 ლარსონი (69პ)

სელტიკი: გოულდი, ბოიდი (ჯონსონი 90), მაალბი, ვეგა, მაკნამარა (პეტა 46), ლამბერტი, ლენონი, პეტროვი, ტომპსონი, ლარსონი (მორავჩიკი 75), სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

რეინჯერსი: კლოსი, მალკოლმი, უილსონი, კონტერმანი, თუგაი (ჯონსტონი 46), ნუმანი, რეინა, ბ. ფერგიუსონი, ალბერტცი, ფლო, მაკკანი (მოლსი 59)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გაფრთხილება: მაკნამარა, ტომპსონი, რეინა, კონტერმანი, ჯონსტონი, კლოსი, ალბერტცი, ფერგიუსონი

გაძევება: მორავჩიკი (90), რეინა (90), მოლსი (90)

60 235 მაყურებელი

**ჩვეულება** რჯულზე უმტკიცესიაო, უთქვამთ.

მართლაც ასე ყოფილა: რამდენი კათოლიკე თამაშობს „სელტიკში“? რამდენი პროტესტანტი შემორჩა „რეინჯერსს“? და საერთოდ — არიან კი გლაზგოში ფეხბურთელები, რომლებისთვისაც მწვანე მინდორზე თავისი მრწამსის უპირატესობის დამტკიცება უფრო დიდი საქმეა, ვიდრე პროფესიონალური ვარგისიანობისა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ალბათ დიკ ადვოკაატსა და მარტინ ონილსაც კი გაუჭირდებათ. მიუხედავად ამისა, გლაზგოური დერბი დღესაც იგივე უდიდესი ვნებით შეზავებული სერიალია, როგორიც გასული საუკუნის დასაწყისში იყო.

თუნდაც გუშინწინდელი მატჩი ავიღოთ და თანმიმდევრობით მივყვეთ: ლიგის თასი ამ ორ გუნდს ისევე აინტერესებს, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედს“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, თანაც ოთხ დღეში ისევ ერთმანეთთან თამაში უწევდათ, ახლა უკვე მართლაც მეტად მნიშვნელოვან, საპრემიერლიგო მატჩში. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელები (ჰოლანდიელი და ირლანდიელი) აცხადებდნენ, ამ შეხვედრას ჩვენს გეგმებში უპირველესი მნიშვნელობა სულაც არ უკავიაო. დიკ ადვოკაატმა კი მთლად საქმით დაამტკიცა ნათქვამი — დაცვის ცენტრალური უბანი 20 წლის რობერტ მალკოლმს ანდო.

შედეგად... სამი გაძევება, შვიდი გაფრთხილება, ორი საეჭვო პენალტი და ცხადია, გაწევ-გამოწევა — კლასიკური „ოლდ ფირმ“ დერბი.

მალკოლმის გამოუცდელობამ თავი მე-16 წუთზე იჩინა, როცა ახალგაზრდა მცველი ჰენრიკ ლარსონთან ორთაბრძოლისას დაეცა და შვედი საკუთარ მეკარესთან პირისპირ დატოვა. წამში ანგარიში 2:0 გახდა, ვინაიდან „სელტიკს“ პირველი გოლი უკვე მეექვსე წუთზე გაეტანა — შვეიცარიელი მცველის რამონ ვეგას თაური გერმანელი შტეფან კლოსის კარის ძელს მოხვდა, დაბრუნებულს კი სხვაზე ადრე ინგლისელი კრის სატონი შეეგება. ამ ორ ზუსტ დარტყმას შორის ბურთი უფრო „რეინჯერსს“ ეჭირა და მოწინააღმდეგის საჯარიმოშიც ქმნიდა არეულობას, მაგრამ ამაოდ.

დარჩენილ დროში კიდევ ორი გოლი გავიდა, ორივე, როგორც ზემოთ ვთქვით, მეტად სადაო პენალტით. ჯერ კელტთა საჯარიმოში შეასკდნენ ერთმანეთს ვეგა და რეინჯერსელი სკოტ უილსონი — მსაჯმა ვილი იანგმა თანამემამულის უფლებების დარღვევა შენიშნა და გერმანელ იორგ ალბერტცს სხვაობა შეამცირებინა. მერე, 68-ე წუთზე, იგივე სკოტ უილსონმა ამჯერად ლარსონთან ჭიდილი გამართა, ოღონდ უკვე საკუთარ საჯარიმოში. შოტლანდიის უპირველესი მეგოლე დაეცა — როგორც შემდგომ ვიდეოჩანაწერზე გამოჩნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბურთზე ფეხი დააბიჯა. რეინჯერსელთა ყაყანმა არც მსაჯზე იმოქმედა და არც შვედზე, რომელმაც ამ სეზონის საკუთარ წარმოუდგენელ მონაგარს ერთი ზუსტი პენალტიც შემატა.

ყაყანი და ძიძგილაობა ბოლოში გენახათ! დაგროვილმა ბოღმამ მაშინღა ამოხეთქა, როცა არბიტრმა რეინჯერსელთა იანკი კლაუდიო რეინა გააძევა მეორე ყვითლის წესით. აქ რატომღაც ჩეხი მორავჩიკი ჰოლანდიელ მოლსს წაეკიდა — იანგმა ორივე რეინას გაკვალულ გზაზე მიაბრძანა, მაგრამ თუ სელტიკელმა ეს არ იუარა, მის მოქიშპე ჰოლანდიელს მსაჯმა მოედანი ძლივს, ლამის ჯაჯგურით დაატოვებინა. მოკლედ, დერბი იყო და დერბულად დამთავრდა.

ფინალში, 18 მარტს, „სელტიკი“ „კილმარნოკს“ ეთამაშება, მანამდე კი, ზეგ, მორიგი გლაზგოური ომია.

**გიგა ძოგანიძე**

# კლუივერტი გაფითრდა

## შენ ახსენე რმალი?! კატალონიელებმა პასუხი მოსთხოვეს

**გუშინ** „ბარსელონას“ ქომაგთათვის გულის გასახეთქი ამბავი გაუწყეთ. კატალონიელთა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა პატრიკ კლუივერტმა თქვა, ოდესმე დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი მადრიდის „რეალშიო“. თუმცაღა მან ისიც აღნიშნა, პირდაპირ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლა ჩემი ოცნება არ არის, მანამდე მინდა, პრემიერლიგის რომელიმე კლუბში მოვსინჯო ძალაო.

დიდი ამბავი ატყდა. თითქმის ყველა სააგენტო ამაზე წერდა. თავს არ შეგაწყენთ და ბევრს არ მოვყვებით იმაზე, თუ რას ნიშნავს „ბარსელონადან“ „რეალში“, ან პირიქით, ფეხბურთელის გადასვლა. შორს რომ არ წავიდეთ, ლუიშ ფიგუს ამბავი გავიხსენოთ. პორტუგალიელის საქმე ისეა, ბარსელონაში არ ჩაესვლება — ისეთი ამბავი და სტვენა დაატეხეს თავს „ბარსელონასა“ და „რეალის“ შეხვედრის დროს მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელს „კამპ ნოუზე“.

ჰოდა, რახან ასეა საქმე, კატალონიელებმაც უმალ მოსთხოვეს პასუხი კლუივერტს — ან დაგვიმტკიცე, რომ ჩვენი ერთგული ხარ და „რეალი“ შავი ჭირივით გეზიზღება, ანაც ახლავე აიკარი „ბარსელონადან“ გუდა-ნაბადი და მადრიდელებს მიეტმასნეო. წახდა კლუივერტი. იქნებ მსგავსი აზრი კიდეც გაუვლია თავში და ვიღაცასთან ამაზე ულაპარაკია, მაგრამ ახლა თავი გამოიდო, და იმტკიცა, რა „რეალი“, მადრიდში რა მინდა, აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავსო.

ჰოლანდიელი პრესას საგანგებოდ შეხვდა. „რეალში“ გადასვლა არ მსურს, რადგან „ბარსელონაში“ ვთამაშობ და აქაურობა ძალიან მიყვარს. მინდორზე თანაგუნდელებთან სრული ურთიერთგაგება მაკავშირებს. დანარჩენი ჭორია და წმინდა წყლის სიცრუე“ — ეს რომ თქვა კლუივერტმა ისიც გაამხილა: თუ „კამპ ნოუს“ დავტოვებ, აუცილებლად ინგლისში წავალ, სადაც ლაღ და შემტევ ფეხბურთს თამაშობენო.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა კლუივერტის ნაამბობი, მაგრამ ხომ არ გეცნობათ ეს ამბავი? შარშან ზაფხულში იყო, სკანდალურად აგორებული ხმები მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდით რომ დასრულდა. ერთ კაცს კი, ვისაც ადრე ლურჯ-წითელი მაისურა ემოსა, ახლა ქათქათა თეთრი აცვია.

**ნიკა ზუგლაძე**





## ლიბერტადორესის თასი 2001

### I ჯგუფი. I ტური

**ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) 3:1 როსარიო სენტრალი (არგენტინა)**

1:0 ბალესტეროსი (42), 2:0 მარკინოში (45პ), 3:0 რესტრეპო (52), 3:1 სანჩესი (89)

ატლეტიკო ხუნიორი: იგუიტა, პალასიო, აგილარი, პერესი, კ. ასპრილია, რამირესი, ფანტინი (ამაია 46), მარკინოში, რესტრეპო, ბალესტეროსი, არიაგა

როსარიო სენტრალი: ტომბოლინი, დიასი, ლოვაპორი, გერბაუდო, ვესპა (მორენო 62), ეროსი, კუბერასი, არიოლა, დე ბრუნო (სანჩესი 46), გონსალესი, მაკერატესი

45 000 მაყურებელი

### III ჯგუფი. I ტური

**უილსტერმანი (ბოლივია) 4:2 სან ლორენსო (არგენტინა)**

1:0 სოზანი (4), 2:0 კარდენასი (49), 3:0 სორია (53პ), 4:0 გალინდო (57), 4:1 რომანიოლი (66), 4:2 პორტოკარერო (73)

უილსტერმანი: სორია, რეიესი, სოზანი, ფერნანდო, კუენსა, სალგერო, ლოიასა (ლიმა 46), ბენგოლეა (ხიგუჩი 52), გიბერგისი, გალინდო (ხარა 76), კარდენასი

სან ლორენსო: საია, პარედესი, ამელი, პორტოკარერო, კ. როდრიგესი, გონსალესი (პუჩინელი 46), ტუციო, ერვიტი, ლ. როდრიგესი (რომანიოლი 46), ესტევესი (რომეო 46), აბრეუ

35 000 მაყურებელი

## პორტუგალია

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

პასუშ ფერეირა — მარიტიმუ; დამალიკაუ (II) — სპორტინგი; ბრაგანსა (II) — პორტუ; მორეირენსე (II) — ბოავიშტა

მატჩები გაიმართება 11 თებერვალს

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



ლილი — ნანტი 1:1. ნანტელები ერიკ კარიერის (№10) ამ გოლის მერე დაწინაურდნენ

# ფერნანდესს ხმა და ქულები წაართვეს

## საფრანგეთი

XXVI ტური

**ოსერი 2:0 ტულუზი**
1:0 ფეიე (64), 2:0 ჯ. სისე (87)

**ბორდო 2:1 მონაკო**
0:1 პანუჩი (12), 1:1 პაულეტა (25), 2:1 ლასლანდი (73)

**ლილი 1:1 ნანტი**
0:1 კარიერი (43), 1:1 ს. ნდიაე (84)

**მეცი 3:2 ბასტია**
1:0 ბატიკლი (20), 1:1 ანდრე (28), 2:1 მორენო (35), 3:1 მეირო (68), 3:2 ნალი (89)

**პარი სენ ჟერმენი 1:3 გენგამი**
0:1 როდრიგესი (7), 1:1 პოჩეტინო (20), 1:2 ბურლო (33), 1:3 ტასფაუ (82)

**სედანი 2:1 ტრუა**
0:1 გაზი (3), 1:1 მუსა ნდიაე (78), 2:1 მიონე (90)

**სტრასბური 1:0 ლანსი**
1:0 ბერტინი (79)

**ლიონი 1:1 მარსელი**
1:0 ანდერსონი (52პ), 1:1 ჟ. ლერუა (76)

**რენი 3:0 სენტ ეტიენი**
1:0 მახტარ ნდიაე (2), 2:0 სეზარი (7), 3:0 მახტარ ნდიაე (33)

**საფრანგეთის** ჩემპიონატის მორიგ ტურში ორი თამაში ოთხშაბათს გაიმართა, დანარჩენები კი ხუთშაბათს. ამიტომაც „ლიონს" ერთი დღით მაინც შეეძლო ლიდერის სავარძელში მოკალათება, ოღონდ ამისთვის შინ „მარსელი" უნდა დაემარცხებინა. ზღვისპირელები უკანასკნელ ხანს უხეიროდ თამაშობენ და პირველ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან. მათ ვერც ცნობილი ესპანელი მწვრთნელის, ხავიერ კლემენტეს მისვლამ არგო დიდად და ლიონშიც მასპინძლები იყვნენ უპირობო ფავორიტები. მათ შეხვედრა თავიდანვე საკუთარი კარნახით წარმართეს და საგოლე მომენტებიც საკმაოდ შექმნეს. წინა ტურში კურიოზული გოლის გამშვები ტრევიზანის გამოუცდელი შემცვლელის გრეგორინის კართან. თუმცა პირველ ტაიმში „ჟერლანზე" თავმოყრილმა მაყურებელმა გოლი ვერ იხილა.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, ანდერსონის გარღვევას ძელთან ჩაწოდება რომ მოჰყვა. მარლემ ბურთს ძირდაუშვებლად დაჰკრა მარჯვენა, მაგრამ გრეგორინი ხარიხამ იხსნა. ორიოდ წუთში მარსელელებმა გაიხარეს, როცა ბრანდოს ჩაწოდების შემდეგ სკორომ თავით გაიტანა, მაგრამ სტუმართა სიხარული ხანმოკლე გამოდგა — გვერდითმა მსაჯმა, ბელმადი თამაშგარეში იყოო და გოლი არ ჩათვალა.

გავიდა კიდევ ორი წუთი და „მარსელის" კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა, რაც გალასის მიერ საკუთარ საჯარიმოში მარლეს წინააღმდეგ არასწორ თამაშს მოჰყვა. სონი ანდერსონს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. სტუმრებმა ქულის მომტანი გოლი 76-ე წუთზე შეაგდეს. თავის ხელმძღვანელებთან უთანხმოების გამო ტრანსფერზე დაყენებული ჟერომ ლერუა მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და თავიც გამოიჩინა. ნგოტის მიერ შესრულებული საჯარიმოს მერე ბურთი სტანკოვიჩს მიუვიდა, რომელმაც მყის ლერუას მიაწოდა. ამ უკანასკნელმა ბურთი მკერდზე მიიღო და მოულოდნელი თავურით კუპე სახტად დატოვა. „მარსელმა" ქულა მოიპოვა, „ლიონმა" კი ორი დაკარგა და რადგან მეორე დღეს „ბორდომაც" მოიგო და „სედანმაც", ორი ადგილითაც დაქვეითდა.

ტურის ცენტრალური მატჩი ლილში გაიმართა. ჩემპიონატის დაწყების წინ ნამდვილად ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ლიდერთა შეხვედრა იქნებოდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. უხეირო მინდორზე გამართულ მატჩში გუნდებმა ქულები გაიყვეს და პირველ-მეორეობაც შეინარჩუნეს. მასპინძლები კარგა ხანს ჩამორჩებოდნენ მეტოქეს ანგარიშშიც და თამაშის ხარისხშიც, მაგრამ ბოლოს მაინც იძალეს და საპასუხო გოლი გაიტანეს. ამის გახარებულებს ბოლო წუთებზე გამარჯვების გოლის შეგდებაც შეეძლოთ, მაგრამ „ნანტის" მიმართ ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა. მატჩი განსაკუთრებული იყო „ლილის" ბოსნიელი თავკაცის ვაჰად ჰალილოჯიჩისთვის, რადგან ფეხბურთელობისას კარიერის საუკეთესო წლები მას სწორედ „ნანტში" აქვს გატარებული.

მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, რაც ბურთის სწრაფად გადაადგილებას თითქმის შეუძლებელს ხდიდა, ფეხბურთელები მაინც საკმაოდ სანახაობრივად თამაშობდნენ. თუმცა პირველი რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ მე-20 წუთზე შეიქნა. ჯარიმიდან ნიკოლა ჟილემ სტეფან ზიანის მიაწოდა. „ნანტის" გამთამაშებლის დარტყმის შემდეგ ბურთი გრეგორი ვიმბეს კარს მცირედით გადასცდა. ამის მერე ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ და ლილელები ფაქტობრივად საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. გოლი, რომ იტყვიან, მწიფდებოდა და 42-ე წუთზე გავიდა კიდეც. შეტევა ჟილემ წამოიწყო, რომელმაც ერთ-ერთ პარტნიორთან გათამაშებული კედლის შემდეგ ბურთი ერიკ კარიერს მიაწოდა, რომელსაც ვიმბეს ჯობნა აღარ გასჭირვებია. ჩემპიონატის საუკეთესო მეპასისთვის ეს მეხუთე გოლი იყო.

მეორე ტაიმი პირველის სცენარით დაიწყო. დაახლოებით მე-60 წუთამდე „ნანტი" უტევდა, „ლილი" კი თავს იცავდა. მერე თამაში შედარებით გათანაბრდა, მაგრამ ანგარიშის შეცვლა უფრო ნანტელებისგან იყო მოსალოდნელი. ამან მათზე ცუდად იმოქმედა, თავიანთ თავში ზედმეტად დარწმუნდნენ და ნაადრევად ზეიმობდნენ გამარჯვებას. ჩრდილოელები დაღლილნი კი იყვნენ, მაგრამ დანებებას არ აპირებდნენ და ისევ იერიშებზე ფიქრობდნენ. 83-ე წუთზე მათ საწადელიც აისრულეს. სტერიოვსკიმ სილვენ ნდიეის უკან დაუგორა ბურთი, მისი დარტყმული ნესტორ ფაბრის ოდნავ შეეხო და ლანდროც უძლური აღმოჩნდა. ბოლო წუთზე კი უკვე თავად სტერიოვსკის შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმის მერე ბურთი „ნანტის" კარს ოდნავ ასცდა.

მორიგი მარცხი იწვნია „პარი სენ ჟერმენმა", რომელსაც ვერც ზამთრის ახალწვეულები შველიან. ანგარიში ბრუნო როდრიგესმა გახსნა, რომელმაც ლიონელ ლეტიზის საჯარიმო დარტყმიდან ლამაზი გოლი გაუტანა. საპასუხო „ესპანიოლის" ყოფილმა წევრმა, მაურიციო პოკეტინომ შეაგდო. არგენტინელმა ალი ბენარბიას ჩაწოდებული ბურთი გამოიყენა. მის მსგავსად თავურით გაიტანა გოლი პიერ-ემანუელ ბურლომაც, ოღონდ საპირისპირო კარში და ტაიმი „გენგამმა" მოიგო.

მეორე ნახევარში ლუის ფერნანდესმა სამი ფეხბურთელი შეცვალა. პარიზელთა თავკაცმა მინდორზე პიერ დიუკრო, მიკაელ მადარი და ჯეი-ჯეი ოკოჩა შეუშვა, მაგრამ მისი გუნდი მაინც ვერაფერს გახდა მეტოქესთან. სტუმრები გაცილებით ლაღად თამაშობდნენ, მასპინძელთა შეტევებს იოლად იგერიებდნენ და სახიფათო კონტრიერიშებსაც მალიმალ ახორციელებდნენ. ჰოდა, ერთ-ერთი კუთხურის დროს აბდელაფიდ ტასფაუტმა ლეტიზი მესამედ აიძულა, ბურთი საკუთარი კარის ბადიდან გამოეტანა.

აქამდე ნერვიული და მყვირალა ფერნანდესი ამის მერე ბედს შეურიგდა, სათადარიგოთა სკამზე დაჯდა და ხმაც აღარ ამოუღია. სამაგიეროდ, „პარკ დე პრენსი" ღრიალებდა ირონიულად — „გმადლობ, პსჟ!"

### ბაბი ბურული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 26 | 12 | 8 | 6 | 31:19 | 44 |
| ნანტი | 26 | 13 | 5 | 8 | 42:33 | 44 |
| ბორდო | 26 | 11 | 10 | 5 | 36:23 | 43 |
| სედანი | 26 | 12 | 7 | 7 | 34:25 | 43 |
| ლიონი | 26 | 10 | 12 | 4 | 36:23 | 42 |
| ბასტია | 26 | 11 | 5 | 10 | 32:28 | 38 |
| გენგამი | 26 | 10 | 8 | 8 | 31:31 | 38 |
| ოსერი | 26 | 10 | 7 | 9 | 29:30 | 37 |
| რენი | 25 | 10 | 6 | 9 | 30:24 | 36 |
| ტრუა | 25 | 9 | 8 | 8 | 31:34 | 35 |
| პარი სენ ჟერმენი | 26 | 9 | 6 | 11 | 33:36 | 33 |
| მონაკო | 26 | 9 | 5 | 12 | 39:37 | 32 |
| ლანსი | 26 | 8 | 8 | 10 | 27:27 | 32 |
| მარსელი | 26 | 8 | 5 | 13 | 25:33 | 29 |
| ტულუზი | 26 | 6 | 9 | 11 | 28:34 | 27 |
| მეცი | 26 | 6 | 9 | 11 | 22:35 | 27 |
| სენტ ეტიენი | 26 | 7 | 7 | 12 | 34:44 | 25 |
| სტრასბური | 26 | 5 | 7 | 14 | 24:49 | 22 |

„სენტ ეტიენს" დაკლებული აქვს 3 ქულა

**II დივიზიონი. XXVIII ტური**

აიაჩო — ვასკეალი 2:0; ანჟერი — ლორიანი 2:1; კაენი — კრეტეი 1:0; კანი — ლე ავრი 1:1; ლე მანი — ბოვე 0:4; მარტიგი — ნანსი 2:1; ნიმი — ნიცა 2:0; ნიორი — ლავალი 2:2; შატორუ — გენიონი გადაიდო

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ფრთხილად: ვირუსი „ყპ"

### ევროპას ყალბი პასპორტების ეპიდემია ემუქრება

**უეფას** ხელმძღვანელობამ ევროპული ქვეყნების მთავრობებს და ფეხბურთის ფედერაციებს მოუწოდა, გავერთიანდეთ და ერთად ვებრძოლოთ ყალბი პასპორტების აგრერიგად მომძლავრებას, რომელმაც უკვე ეპიდემიის სახე მიიღო.

უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა ოთხშაბათს განაცხადა: „პრობლემას დროულად თუ არ მივხედავთ, სიტუაცია უმართავი გახდება. ცხადია, პრობლემა არაევროპელთა დისკრიმინაციული შეზღუდვის გამო არსებობს, მაგრამ ეს ყალბისმქნელთა დანაშაულს არ ამცირებს".

იქამდე მსგავსი მოწოდებით ფიფაც გამოვიდა.

## ვერონი ნათესავებშიც ჩაიჭრა და ლაციოსთანაც

**ჯერ კიდევ** გუშინწინ „ლაციოს" პრეზიდენტი და მწვრთნელი, სერჯიო კრანიოტი და დინო ძოფი, თავს ესხმოდნენ და ცილისწამებისთვის პასუხს სთხოვდნენ იმათ, ვისაც ხუან სებასტიან ვერონის ევრომოქალაქეობა ეეჭვებოდათ. აი, თქვა ფაბიო კაპელომ, ვერონს თუ ყალბი პასპორტი ჰქონდა, ესე იგი, „ლაციოში" უკანონოდ თამაშობდაო. და მაშინვე სარჩელის წერას შეუდგნენ, ცილისწამებისთვის მორალურ კომპენსაციად 26 მილიონი დოლარი გადაგვიხადოს „რომას" მწვრთნელმაო.

ნეტავ, ახლა როგორ ხასიათზეა სინიორ კრანიოტი? ვერონი გარეგნულად ჰგავს უტეხ ადამიანს, თორემ გამომძიებლის კაბინეტში მოხვედრილმა ყველაფერი დაფქვა.

„ვინ არის ლიდია რატი ვიამონტე?" — მიამიტურად ჰკითხა გამომძიებელმა ვერონს. არ ვიცი, პირველად მესმის ეს სახელიო, უპასუხა მან. არადა, კარგი იქნებოდა, სცოდნოდა, რადგან ვერონის საბუთებში ეს იტალიელი ქალბატონი მის ნათესავადაა მოხსენიებული და ფეხბურთელმა ევროპასპორტიც ამის გამო მიიღო.

საქმის ასეთმა შემობრუნებამ ვერონი დააბნია და იმის მტკიცებაზე, რომ ევროპული ფესვები აქვს, ხელი აიღებინა. კიდევ გაუმართლა — იმდენი მოისაზრა, რომ ეთქვა, პასპორტი კლუბში გამიკეთეს, როგორ და რანაირად, არ ვიციო.

ვარაუდობენ, რომ ვერონი საქმიდან იოლად გამოძვრება და ოდენ ევრომოქალაქეობის ჩამორთმევას აკმარებენ. ძიების მთელი სიმძიმე კი „ლაციოს" დააწვება მხრებზე. აკი ვერონის ადვოკატს ადრევე ჰქონდა ნათქვამი, ჩემს კლიენტს ევროპული პასპორტი სულაც არ სჭირდებოდა, მისი გაევროპელებით კლუბი იყო დაინტერესებულიო. ჭკვიანი კაცი ყოფილა ეს ადვოკატი — ალბათ, ყველაფერი ადრევე განსაზღვრა და კლიენტიც წინასწარ დაიზღვია.



ვერონმა თავზე ნაცარი წაიყარა

## ნუ მოითხოვ და მიიღებ

**მკითხველს** ბოდიშს ვუხდით, უკვე იმდენჯერ მოგვიხდა საფრანგეთის პირველი დივიზიონის ცხრილის გადაკეთება. თუმცა რა ჩვენი ბრალია, რომ იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ ვერაფრით გაარკვია, რამდენ ქულად ფასობს თითო ყალბი პასპორტი.

გავიხსენოთ, რომ სადისციპლინო კომიტეტმა „სენტ ეტიენს" შვიდი ქულა ჩამოაჭრა მინდორზე ყალბპასპორტიანი ალექსისა და მაქსიმ ლევიცკის გაყვანისთვის. იმავე მიზეზით ორი ქულა დააკლეს „მონაკოს" (პაბლო კონტრერასის პასპორტისთვის), ხოლო „სტრასბურს" და „მეცს" თითო ქულა აკმარეს.

„დაზარალებულებმა" სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება, ცხადია, გაასაჩივრეს. „მონაკოს" და „მეცს" გაუმართლათ — მათ ყველაფერი ფეხბურთელებს გადააბრალეს და ჩამოჭრილი ქულები დაიბრუნეს. აი, „სენტ ეტიენის" საქმე კი ცოტა უცნაურად წარიმართა. ადრე ნათქვამი შვიდის ნაცვლად „მწვანეებს" მხოლოდ სამი ქულა დააკლეს, თუმც გასულ დეკემბერში „ტულუზთან" 1:0 მოგებულ მატჩში წაგება ჩაუთვალეს (სწორედ იმ მატჩის შემდეგ გაირკვა ლევიცკის და ალექსის ამბავი) და ჯამში მინუს ექვსი ქულა გამოვიდა.

საბოლოოდ სამივე გუნდმა გასაჩივრებით მეტ-ნაკლები სარგებელი ნახა, ყველაზე კმაყოფილი კი, ცხადია, „ტულუზია" — არაფერი უთხოვია და უეცრად სამი ქულით გამდიდრდა.

**გიორგი დარჯანია**

# მალე: უეფა ლიგურად, ლიგა ძველებურად

## ევროლიგელთ გააჩერებს ენა ტკბილად მოუბარი



ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ ფეხბურთზე: „დორტმუნდის“ გენერალური მდივანი მიხაელ მაიერი, უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი და „ბაიერნის“ აღმასრულებელი დირექტორი კარლ ჰოფნერი

**შვეიცარიულ** ნიონში უეფას შტაბ-ბინაში ორ დღეს გრძელდებოდა ამ ორგანიზაციისა და 70 ევროპული კლუბის წარმომადგენელთა შეხვედრა. საუბარი ევროტურნირების მომავალს შეეხებოდა. ამ შეხვედრის პარალელურად ციურიხში ფიფასა და უეფას პრეზიდენტები უსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას და სატრანსფერო სისტემის რეორგანიზაციის პრობლემებზე ბჭობდნენ, მაგრამ რაკი მათ გარჯას რაიმე კონკრეტული შეთანხმება არ მოჰყოლია (გარდა იმისა, რომ მომდევნო კვირაში ხელახლა შეკრება დათქვეს), ნიონურ ამბებზე ვთქვათ.

ჩემპიონთა ლიგამ უკვე შეიწირა თასების მფლობელთა თასი. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ უეფას თასსაც ვერ აქვს საქმე კარგად. ამიტომაც არის, რომ „აიაქსისა“ და „ანდერლეხტის“ დონის კლუბები, რადგანაც ჩემპიონთა ლიგის ელიტაში შეღწევას ვერ ან ვეღარ ახერხებენ და უეფაზე თამაშიც სალაროებს ვერ უვსებთ, დამოუკიდებელი ლიგის შექმნას ესწრაფვიან. ამათ თავი დავანებოთ, ბობოლებიც წუწუნებენ, ჩემპიონთა ლიგაც არაა ის ტურნირი, ჩვენ რომ გვინდაო.

მოკლედ, დღის წესრიგში ევროტურნირების სისტემის გარდაქმნის საკითხი დადგა. აქვე დავუმატოთ, რომ ეს ერთი და ორი დღის საქმე კი არა, ცოტა შორეული მომავლის საქმეა. უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა თქვა, სატელევიზიო და სასპონსორო კონტრაქტები 2003 წლამდე გვაქვს დადებული, რის გამოც ცვლილებების დაუყოვნებლივ შეტანა წარმოუდგენელიაო.

თათბირზე მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ლიგაში მხოლოდ ერთი ჯგუფური ეტაპის დატოვება მოითხოვა. ახლანდელი ფორმატით, ფინალისტებს 17 თამაშის ჩატარება უწევთ, ბეკენბაუერი კი სიტყვით გამოდის, ეს რიცხვი ცამეტამდე შემცირდესო. მისეული ფორმატი ასეთია: 32 გუნდი რვა ჯგუფში განაწილდება და 16 საუკეთესო მეორე ჯგუფური ეტაპის გვერდის ავლით, პირდაპირ მერვედფინალში ჩაებმება.

გავიხსენოთ, რომ ბეკენბაუერის პროექტი ნაწილობრივ ემთხვევა ლიგის ძველ ფორმატს. ნაწილობრივ, რადგან ადრე, მართალია, მხოლოდ ერთი ჯგუფური ეტაპი იყო, მაგრამ მაშინ ლიგაში 24 გუნდი თამაშობდა. ისიც გავიხსენოთ, რომ ბეკენბაუერი და სხვა ბობოლებიც აქამდე ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირებასაც მოითხოვდნენ, რადგან „ჰელსინგბორგისა“ თუ „ჰერენვენის“ დონის გუნდებთან თამაშს უაროობდნენ. ახლა, ეტყობა, ვითარება რამდენამდე შეიცვალა.

ბეკენბაუერი თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებს: „ბევრი თამაში ერთი შეხედვით ბევრ სატელევიზიო რეპორტაჟსა და რეკლამას, შესაბამისად კი დიდ შემოსავალს ნიშნავს, მაგრამ საშიშროებაც არსებობს: გადატვირთული კალენდარი ფეხბურთელებს მეტისმეტად ღლის, ტრავმების საფრთხეც იზრდება, რაც საბოლოოდ თამაშის ხარისხზე მოქმედებს. ეს თავისთავად ამცირებს მაყურებლის ინტერესს, ურომლისოდაც არც ტელევიზია იქნება და არც რეკლამა. რაღა შორს წავიდეთ, ლიგის წინა მატჩებში ჩვენი „ოლიმპიაშტადიონი“ სანახევროდაც ვერ გაივსო.“

ნიონურ შეხვედრაზე, როგორც ვთქვით, უეფას თასის მომავალზე ისაუბრეს. აქაც ჯგუფური ეტაპის შემოღებაა ნავარაუდევი და ისეთივე ფორმატი ექნება, როგორც ბეკენბაუერისეულ ჩემპიონთა ლიგას.

აშკარაა, რომ უეფას თასის რეფორმა მისდამი ინტერესს და მომგებიანობას გაზრდის. ამას ერთი ხრიკიც უწყობს ხელს.

თავშივე აღვნიშნეთ, რომ ევროპის „მეორე ეშელონის“ გუნდები დამოუკიდებელი ლიგის შექმნას ლამობენ (მას ხან ატლანტიკურ და ხან ევროლიგას უწოდებენ). „სეპარატისტთა“ ჯგუფის წევრმა, „პსვ ეინდჰოვენის“ პრეზიდენტმა პეტერ ფოსენმა, მართალია, თქვა — ახალი ლიგის შექმნა უეფასგან განდგომას სულაც არ ნიშნავსო, მაგრამ ევროპული ფეხბურთის მესვეურები ფოსენის განცხადებამ არ დააკმაყოფილა და მათ საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთეს, თქვენსას თუ არ დაიშლით, საერთოდ საფეხბურთო ოჯახიდან მოგკვეთთო. მუქარამ ფოსენი და კომპანია ვერ შეაშინა და უეფამაც ხერხს მიმართა — მათ უეფას თასის შემოსავლიანობის ზრდას დაჰპირდა.

დაპირებამ გაჭრა. გუშინ პეტერ ფოსენმა თანამოაზრეთა სახელით განაცხადა, უეფას თასის რეფორმირებას დაველოდებით და ევროლიგის შექმნას გადავდებთო.

**გიორგი დარჯანია**

# ინგლისი დაღლაა, ესპანეთი შვება

**სტენ კოლიმორს** „ოვიედოში“ თბილი, ტკბილი და უშფოთველი ცხოვრების მოწყობა განუზრახავს. დასამალი არაა, მისი ვარსკვლავი ჩაესვენა, ჰოდა, ესპანური უამბიციო გუნდი მშვენიერი ადგილია ცხოვრებისგან ნაგვემ-ნატანჯი კაცისთვის. ვინ იფიქრებდა, რომ ასე უკულმართად შეტრიალდებოდა სტენის ბრწყინვალე კარიერა. „ლივერპული“, „ასტონ ვილა“, „ნოტინგემ ფორესტი“ და კიდევ მრავალი სხვა ჯიბეზე ხელის ლაზათიანად გაკვრასა და მის გადაბირებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ვერ შეიფერა ბიჭმა პატივი. ალკოჰოლმა, გართობამ, ქალებმა... ნარკოტიკმა თავისი გააკეთა. დიდება და სახელი სპეციალურმა კლინიკებმა, დეპრესიამ და ჟურნალისტთა ქილიკმა შეცვალა. კოშმარივით ახსოვ ფეხბურთელს ინგლისი.

სტენ კოლიმორი 30 წლისა მოყრილა და თუ დაეჯერება, ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს. მას ესპანურ „მარკასთვის“ გული გაუხსნია.

ესპანეთში თამაშის სტილიც განსხვავებულია. ინგლისში მთელი მატჩის განმავლობაში სწრაფი ტემპია. აქ კი იგი ხან მატულობს, ხან იკლებს. მეტი შანსი გეძლევა ტექნიკურ ფეხბურთელს, ბურთთანაც ხშირი კონტაქტი გქონდეს“. ამით შეგულიანებულ კოლიმორს, მოედანს, ბურთსა და წარმატებას მოწყურებულს, იმედის ნაპერწკალი გაღვივებია. სჯეროდეს, ბატონო, კაცი იმედით ცოცხლობს. ალბათ, მისი რადომირ ანტიჩს, „ოვიედოს“ მწვრთნელსაც ეიმედება. სხვისი რა გითხრათ და ფრიად საეჭვო რეპუტაციის სტენ კოლიმორი, მავანთა საფუძვლიანი ეჭვით, დიდ ფეხბურთს ვეღარასოდეს ითამაშებს.

**გიორგი გაგარდაშვილი**



სტენ კოლიმორი „ოვიედოს“ ქომაგებს უკვე გაუშინაურდა

ფეხბურთის [illegible]



**იტალიურმა** „ინტერმა“ სურვილი გამოთქვა, „ლიდს იუნაიტედში“ განათხოვრებული ირლანდიელი ფორვარდი რობი კინი სეზონის ბოლოს დაიბრუნოს. თავად ფეხბურთელმა კი განაცხადა, რომ პრემიერლიგაში დარჩენა და „ლიდსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება ურჩევნია. „ლიდსსა“ და „ინტერს“ შორის რამდენიმე თვის წინ დადებული შეთანხმების თანახმად, თუ ინგლისელები ირლანდიელის დატოვებას მოისურვებენ, მილანელებს სანაცვლოდ 14 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადონ. არ გამორიცხავენ, რომ ასეც მოხდეს. იტალიურმა სააგენტოებმა კი სხვა ცნობაც გაავრცელეს — „ინტერმა“ „გალათასარაის“ ნახევარმცველ ემრე ბელოზოღლუს დაადგა თვალი, 21 წლის ფეხბურთელს 4-წლიან კონტრაქტს სთავაზობს, ხოლო სტამბოლურ კლუბს სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარს უხდისო.

**არგენტინელი თავდამსხმელი ხუან ედუარდო ესნაიდერი ირწმუნება, რომ მას პრემიერლიგაში ეპატიჟებიან და სავარაუდოდ გადავა კიდეც. „იუვენტუსის“ მოთამაშე ამჟამად „სარაგოსაში“ თამაშობს იჯარით, თუმცა ესპანური კლუბიდან წასვლას აპირებს. ადრე „სარაგოსას“ ესნაიდერის ყიდვა უნდოდა, მაგრამ ტურინულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა მოითხოვა და პრიმერადივიზიონელებმა ფეხბურთელის იჯარით აყვანა ამჯობინეს. არგენტინელის ევროპული კარიერა 1991 წელს მადრიდის „რეალში“ დაიწყო. 1993 წელს კი იგი „სარაგოსაში“ მოხვდა. 1996 წელს მადრიდის „ატლეტიკოში“ ჩაირიცხა, ორი წლის შემდეგ — „ესპანიოლში“, იქიდან კი „იუვენტუსში“ გადაბარგდა.**

**ესპანეთის** მეორედივიზიონური „ლეიდას“ მწვრთნელის პოსტი მიგელ რუბიომ დატოვა. კლუბის განცხადებით, ამის მიზეზი გუნდის წარუმატებლობაა. „ახალმა თავკაცმა შესაძლოა გუნდი ქვედალიგაში დაქვეითებისგან იხსნას. ჩემი გადადგომა კი კლუბისთვის უკეთესია“ — განაცხადა რუბიომ, რომლის ხელმძღვანელობისას „ლეიდამ“ ამ სეზონში მხოლოდ სამი თამაში მოიგო. ახალ მწვრთნელად კი, „ერკულესისა“ და „კასტელონის“ ყოფილი თავკაცი კიკე ერნანდესი მიიწვიეს.

**ინგლისურმა „ლუთონმა“ სპორტულ დირექტორად „უიმბლდონის“ ყოფილი მწვრთნელი ჯო კინეარი დანიშნა. ამ პოსტზე მუშაობა თავად ირლანდიის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ყოფილ მოთამაშეს სურდა, რადგან ასე ოჯახს მეტ დროს დაუთმობს. ბოლოს 54 წლის კინეარი „ოქსფორდს“ თავკაცობდა, მანამდე კი 7 წელი „უიმბლდონს“ ედგა სათავეში, თუმცა 1999 წლის მარტში გულის შეტევის გამო იძულებული გახდა მაშინ პრემიერლიგაში მოთამაშე გუნდიდან წასულიყო.**

**ჩეხმა** ფეხბურთელმა ირჟი ნემეცმა „შალკე 04“-თან კონტრაქტი გაახანგრძლივა. 34 წლის მოთამაშეს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უსრულდებოდა, ახლა კი გელზენკირხენულ კლუბში 2002 წლის ზაფხულამდე დარჩება. ნემეცს სამშობლოში რამდენიმე გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ჯერჯერობით ბუნდესლიგაში თამაში არჩია. ისე კი განაცხადა, რომ კარიერას ჩეხეთში დავასრულებო.

**ესპანური პრესის ცნობით, მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი მცველი რობერტო კარლოსი ესპანეთის ორმაგი მოქალაქეობის მიღებას აპირებს. 27 წლის ფეხბურთელი სათანადო დოკუმენტაციას უახლოეს მომავალში წარადგენს. შეგახსენებთ, რომ რობერტო კარლოსი „რეალმა“ 1996 წელს მილანის „ინტერიდან“ შეიძინა. ბრაზილიელის კარიერა კი „პალმეირასში“ დაიწყო.**

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველის კლარენს ზეედორფის ძმამ, სედრიკმა, „ბრედასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 17 წლის სედრიკი ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, ისიც ნახევარმცველია და უკვე რამდენიმე ევროპულ კლუბში უთამაშია. „ბრედას“ მწვრთნელის ჰენკ ტენ კაატის განცხადებით, იგი სედრიკს მალე ათამაშებს ძირითად შემადგენლობაში. „ძალიან ტექნიკური მოთამაშეა, ერთობ პერსპექტიული. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს გუნდში თავს გამოიჩენს“ — განაცხადა მწვრთნელმა.

**უელსის ნაკრების ფორვარდი ჯონ ჰართსონი ინგლისის პირველდივიზიონური „უიმბლდონიდან“ პრემიერლიგურ „ქოვენთრიში“ გადაბარგდა. ახალ კლუბთან მან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. იმედოვნებენ, რომ სადებიუტო მატჩს იგი უკვე მომავალ ტურში ჩაატარებს. „მოხარული ვართ, რომ ჯონი შემოგვიერთდა, „უიმბლდონთან“ პირობები შევათანხმეთ, რომლის გახმაურებაც არ გვსურს“ — განაცხადა „ქოვენთრის“ პრეს ატაშემ.**

**ისრაელის** ნაკრების ფეხბურთელ ეიალ ბერკოვიჩს ინგლისში თამაშის ნება დართეს და იგი „ბლექბერნ როვერსს“ შეუერთდა, სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ახალ კლუში ვარჯიში დაიწყო. 28 წლის ფეხბურთელი გლაზგოს „სელტიკში“ ირიცხებოდა, თუმცა ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და კლუბიც ამიტომ გამოიცვალა. სავარაუდოდ ბერკოვიჩი სადებიუტო მატჩს ამ შაბათს „ნოტინგემ ფორესტის“წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ესპანეთის ჩემპიონ „დეპორტივოს“ ექიმების ცნობით, ჰოლანდიელი თავდამსხმელი როი მაკაი გამოჯანმრთელდა და მომავალ კვირას ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში სტამბოლის „გალათასარაისთან ალბათ ითამაშებს. თავიდან კი თვლიდნენ, რომ პრიმერადივიზიონის წინა ტურში დაშავებული ფეხბურთელი კლუბს თვეზე მეტხანს დააკლდებოდა.**

**ჰოლანდიელმა** მცველმა იაპ სტამმა განაცხადა, რომ მომავალ კვირას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტს გაახანგრძლივებს. მიმდინარე შეთანხმება მას 2004 წელს უსრულდება, მაგრამ კლუბში მეტი ხნით დარჩენა სურს და თან ხელფასსაც მოუმატებენ. „ზოგიერთი წვრილმანი დეტალია მოსაგვარებელი, ამის შემდეგ კი კონტრაქტს ხელს მოვაწერ. მსურს, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ დიდხანს დავრჩე“ — განაცხადა სტამმა.

**ამერიკელი მეკარე იურგენ სომერი ინგლისის პირველდივიზიონურ „ბოლტონში“ ჩაირიცხა, მას ბრიტანეთში თამაშის გამოცდილება აქვს, რადგან ადრე „ლუთონსა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ უთამაშია. „მოხარული ვართ ახალი ფეხბურთელის შემატებით. მისი გამოცდილება ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგება“ — განაცხადა „ბოლტონის“ მწვრთნელმა რემ ელარდისმა.**

**ჰოლანდიელი** თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი დაშავდა და „ბარსელონას“ რამდენიმე კვირით დააკლდება. კატალონიური კლუბის ექიმებმა ფეხბურთელი გასინჯეს და დაადგინეს, რომ მას მარჯვენა ფეხის კუნთი გაეჭიმა. ჯერჯერობით დაზუსტებით ვერ ამბობენ, შეძლებს თუ არა ჰოლანდიელი მარტის დასაწყისში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ თამაშს. ამას ალბათ ხელახალი გამოკვლევის შემდეგ დაადგენენ.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მგლური რეკორდები



მინესოტა — საკრამენტო. დუგ კრისტი მინესოტელი კევინ გარნეტის სროლას შეჰყურებს

7 თებერვალი

**ბოსტონი 94:91 მილუოკი**

ბოსტონი: უოლკერი (36 ქულა, 13 მოხსნა), პირსი (27)

მილუოკი: ტომასი (21), ალენი (20 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), რობინსონი (18 ქულა, 15 მოხსნა)

**ფილადელფია 87:112 ჰიუსტონი**

ფილადელფია: აივერსონი (26)

ჰიუსტონი: ფრენსისი (23), მობლი (23), ოლაჯუონი (18 ქულა, 14 მოხსნა), ბალარდი (18)

**კლივლენდი 89:107 სან ანტონიო**

კლივლენდი: ვეზერსპუნი (16 ქულა, 12 მოხსნა), მილერი (16)

სან ანტონიო: დანკანი (23 ქულა, 12 მოხსნა), ანდერსონი (17)

**ნიუ იორკი 96:93 დალასი**

(ძირითადი დრო 80:80)

ნიუ იორკი: სპრიუელი (20 ქულა, 11 მოხსნა), ჰიუსტონი (18)

დალასი: ფინლი (21), ეისლი (17), ნოვიცკი (17)

**ორლანდო 107:98 ვაშინგტონი**

ორლანდო: არმსტრონგი (32), მაკგრეიდი (24)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (25), ჰამილტონი (17)

**მინესოტა 117:88 საკრამენტო**

მინესოტა: გარნეტი (40), შჩერბიაკი (20)

საკრამენტო: ვებერი (22)

**პორტლენდი 97:80 სიეტლი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (21), სმიტი (19)

სიეტლი: ლუისი (21)

**ლეიკერსი 85:83 ფინიქსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (32 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

ფინიქსი: რობინსონი (22)

**გოლდენ სტეიტი 89:88 კლიპერსი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (27), სურა (22)

კლიპერსი: ოდომი (27 ქულა, 10 მოხსნა)

**ვანკუვერი 82:92 იუტა**

ვანკუვერი: დიკერსონი (27), აბდურ-რაჰიმი (20)

იუტა: მელოუნი (34), მარშალი (24)

ყოველდღიური თამაშებით გვარიანად მოქანცულ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას კარს მოადგა საყოველთაო განტვირთვისა და ლაღობის საოლსტარო უქმეები, თუმც სანამ ეს სანატრელი დასვენება მოაღწევს, გუნდებს კიდევ ერთხელ მოუწევთ ერთმანეთთან შეტაკება და ოფლის ღვრა. აი, სეზონის პირველივე დღეებიდან ლიგის ლიდერმა „ფილადელფიამ“ კი ცოტა ადრე აილო შვებულება. ოთხშაბათს, 7 თებერვალს, ფილადელფიაში ჩასული ჰიუსტონელი „რაკეტები“ იმაზე თუ დარდობდნენ, ათი ქულით წააგებდნენ, ოცით თუ ოცდაათით, მაგრამ მატჩის დაწყებისთანავე ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოაჩინეს: მრისხანე მასპინძელი სულაც არ იყო ბრძოლის იშტაზე. სტუმრებსაც მეტი რაღა უნდოდათ, პირველი ტაიმი ათი ქულით მოიგეს, ბოლო მეოთხედში კი სულ მიწასთან გაასწორეს ბობოლა და თორმეტწუთეული 31:18 დაასრულეს.

„ჰიუსტონის“ 38 წლის ყველაფერმტკივანმა ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა ზედიზედ მეორე თამაშში მოიწყო ბენეფისი. წარმოშობით ნიგერიელმა და ამ შვიდი წლის წინ გაამერიკელებულმა ჰაკიმმა პირწმინდად დაჩაგრა მასპინძელთა ჯანიანი ცენტრი თეო რეთლიფი, ვინც ორ დღეში „ოლ სტარს“ დააჭაშნიკებს. თავად ოლაჯუონს იმდენ „ოლ სტარში“ უთამაშია, ჩამოსათვლელად ორივე ხელის თითები არ ეყოფა. ახლა კი მობერდა და იქ აღარ ეძახიან, ასე რომ, ეს ბებერი მგელი ყმაწვილთა დაწიოკებით იქცევს თავს.

ფილადელფიიდან ორასიოდე კილომეტრის მოშორებით, ნიუ იორკში კი ჯერ არ ფიქრობენ „ოლ სტარზე“, რასაც „დალასის“ სტუმრობაც ადასტურებს. კერკეტი „მავერიქსი“ უცნობილეს „მედისონ სკვერში“ „ნიკერბოკერსის“ წაქცევას ესწრაფვოდა და ამისთვის ძალ-ღონე არ დაუშურებია, თუმც მასპინძლებს მხოლოდ წაგებასღა გამორჩნენ, უკვე ზედიზედ მეთერთმეტედ.

არც „ნიუ იორკს“ ჩამოვარდნია გამარჯვება ციდან, მხოლოდ მეორე ოვერტაიმში დაძლია ტეხასური ბარიერი.

კიდევ ერთ ტეხასელს ექსჩემპიონ „სან ანტონიოს“ სტუმრად იოლი გასეირნება ჰქონდა უწინ ცენტრალურ დივიზიონის ლიდერ, აწ კი აღმოსავლეთში მეათეობამდე დაქვეითებულ „კლივლენდთან“. „სან ანტონიომ“ ზედიზედ მერვე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში, თუმც მაინც ვერ მისწვდა შუა დასავლეთის დივიზიონის ჭერს, რადგან უქმად არც მის თავზე კარგა ხნის წინ დასახლებული „იუტა“ გახლდათ. „ჯაზმა“ ლიდერ კარლ მელოუნის გარჯა შეირგო და ვანკუვერელი „დათვები“ მათსავე „ბუნაგში“ წააქცია.

„იუტას“ და „სან ანტონიოს“ ჭიდილში ნურც „მინესოტა ტიმბერვულვზს“ გამოვტოვებთ. მინესოტელმა „მგლებმა“ კარგა ხანია, აიწყვიტეს, გზაზე ვინც გადაეყარათ, ყველას გაჰკრეს კბილი. „საკრამენტო“ მათთვის ზედიზედ მეთერთმეტე საკბილოა. ამ ღირსახსოვარ შეხვედრაში კი ერთბაშად იმდენი რეკორდი დამყარდა, რამდენიც ლამის მთელ სეზონში: „ვულვზის“ ზედიზედ 11 გამარჯვება სარეკორდოა როგორც კლუბის ისტორიაში, ასევე მიმდინარე სეზონში. „მინესოტამ“ პირველივე მეოთხედი საშინელი ანგარიშით, 41:10 მოიგო და ესეც რეკორდია, „მგლებს“ არსებობის მანძილზე არ მოუპოვებიათ 41 ქულა საწყის თორმეტწუთეულში. მასზეც ვთქვათ, ვინც ამდენი რეკორდის დამყარებაში ლომის წილი დაიდო. მასპინძელთა ლიდერმა კევინ გარნეტმა სულ 40 ქულას მოუყარა თავი (აქედან 17 პირველ მეოთხედში) და კარიერის საუკეთესო შედეგი ერთი ქულით გააუმჯობესა. საერთო ფეხისხმას აჰყვა მანამდე ბევრი არაფრით გამორჩეული „ვულვზის“ სლოვენიელი ცენტრი რადოსლავ ნესტეროვიჩი. მან კარიერაში უმეტესი შვიდი დაფარება შეაგროვა, აქედან ექვსი პირველ თორმეტწუთეულში (!), რაც ასევე კლუბის ყველა დროის საუკეთესო მიღწევაა. სლოვენიელს თურმე იმიტომ გაუგიჟებია თავი, რომ იუგოსლავიელ ვლადე დივაცთან უწევდა ჭიდილი. ერთა საპყრობილე იუგოსლავიაში შობილგაზრდილმა ნესტეროვიჩმა აწ თავისუფალი სლოვენიელი ერის სახელით იყარა ჯავრი ტომით სერბ დივაცზე, თუმც გარჯა არ დაუფასდა. ნამატჩევს მის დამრიგებელს ფლიპ სანდერსს, რომელიც იანვრის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, მასზე უთქვამს, ბევრი არაფერი, ეგ ბიჭი გუშინ ვარჯიშზე უკეთ ირჯებოდა და დღეს მისგან მეტს ველოდიო (აი, უმადური).

თავს საშინელი ძალით დატეხილმა რეკორდების წვიმამ საკრამენტოელი „მეფეები“ მაგრად შეარყია. „კინგზმა“ ზედიზედ მესამედ წააგო და წყნარი ოკეანის დივიზიონში პირველობა „პორტლენდს“ გადაულოცა, რომელიც იმ დღეს შინ „სიეტლს“ აბითურებდა. „სიეტლს“ იმ დღით დაუბრუნდა ბოქვენმტკივანი ლიდერი გერი პეიტონი, თუმც გერი ჯერაც ვერ იყო ჯანზე, მხოლოდ 11 ქულა მოაგროვა, 15 სანტიმეტრით დაბალ დეიმონ სტუდემაიერს დაეჩაგვრინა და „სიეტლიც“ წასაგებად გაიწირა.

„ოლ სტარში“ მონაწილეობა ვისთვის კარიერის მწვერვალი და უდიდესი პატივია და ვისთვისაც მოსაბეზრებელი, არაფრისმომცემი ღლაბუცი. „ლეიკერსის“ ახალგამომცხვარი ლიდერი და ლიგის უპირველესი მექულე კობი ბრაიანტი ჯერ 22 წლისაა და ოლსტარობანას თამაში უკვე მობეზრებია. კობი მიზეზს ეძებს, როგორმე თავი დაალწიოს კვირას ვაშინგტონში ჩასვლას და სიმულაციასაც კი მიმართავს — თეძო, იდაყვი და მხარი ერთად მტკივა, თორემ „ოლსტარში“ თამაში როგორ არ მინდაო. იქნებ ბრაიანტი არც ტყუოდეს, თუმც ტრავმებს მისთვის ხელი არ შეუშლია, „ფინიქსისთვის“ 32 ქულა ჩაეგდო და ცხრა პასი და რვა მოხსნაც მიეყოლებინა. ბრაიანტმა მხოლოდ მაშინ დატვირთა სხეულის ზემოჩამოთვლილი ნატკენი ნაწილები, როცა შეატყო, ვაგებთო. მან მეორე ნახევარში 23 ქულას მოუყარა თავი, მატჩის დამთავრებამდე სამი წამით ადრე ჩაგდებული და გამარჯვების მომტანი ბურთიც მისი იყო.

**ირაკლი ფირცხვილი**

სლოვენია

# ტულუშის მარცხიანი დებიუტი

გამოტოვებული მატჩი

**სლოვანი 84:88 კრაშკი ზიდარი**

სლოვანი: უგრეხელიძე (14), ლაკოვიჩი (13), პავიჩი (10), მარავიჩი (10), ცქიტიშვილი (10), ნოვაკი (9), ტაკელი (6), ჯურკოვიჩი (6), გრბეშიჩი (4), ტულუში (2)

კრაშკი ზიდარი: დ. პეტროვიჩი (24), სუშიჩი (23), ლიკარი (19), ვ. პეტროვიჩი (19), დრობნიაკი (3)

ტაბლოს გაფუჭების გამო გადადებული მატჩის ფინალი დრამატული გამოდგა. „კრაშკი ზიდარის“ მარკო ლიკარმა მეტოქეს შეტევა ჩაუჭრა და სამქულიანი ჩააგდო. ამით მისი გუნდი „სლოვანს“ ქულებით გაუსწორდა, ხოლო ლიუბლიანელებმა, თავის მხრივ, მესამე ადგილი ლაშკოს „პივოვარნას“ გადაულოცეს.

„სლოვანის“ რიგებში პირველად ითამაშა ქართველმა უკანახაზელმა კოტე ტულუშმა. მან 9 წუთი დაჰყო მოედანზე და 2 ქულა გააკეთა.

ტულუში მეექვსე ქართველია, ვისაც „სლოვანში“ და შესაბამისად, სლოვენიის ჩემპიონატში უთამაშია. მისი წინამორბედები ვლადიმერ სტეფანია, ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე და ირაკლი კეიდია იყვნენ. ბოისას კვლავ არ უთამაშია — იგი მუხლს მკურნალობს.

ამასობაში გაიმართა სლოვენიის თასის „ოთხთა ფინალის“ კენჭისყრა. „სლოვანს“ რთული მეტოქე, ლიუბლიანის „ოლიმპია“ ერგო. მეორე ნახევარფინალში „ზაგორიე“ და ნოვო მესტოს „კრკა“ ითამაშებენ. „ოთხთა ფინალი“ 7-8 აპრილს გაიმართება ზაგორიეში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 17 | 16 | 1 | 1585:1138 | 33 |
| კრკა | 17 | 16 | 1 | 1474:1245 | 33 |
| პივოვარნა | 17 | 11 | 6 | 1531:1416 | 28 |
| სლოვანი | 17 | 10 | 7 | 1378:1339 | 27 |
| კრაშკი ზიდარი | 17 | 10 | 7 | 1340:1356 | 27 |
| კემოპლასტი | 17 | 7 | 10 | 1499:1516 | 24 |
| ჰელიოსი | 17 | 7 | 10 | 1349:1379 | 24 |
| როგლა | 17 | 7 | 10 | 1427:1472 | 24 |
| ტრიგლავი | 17 | 6 | 11 | 1280:1379 | 23 |
| სავინსკი | 17 | 5 | 12 | 1331:1514 | 22 |
| ზაგორიე | 17 | 4 | 13 | 1326:1512 | 21 |
| ლოკა კავა | 17 | 3 | 14 | 1333:1557 | 20 |

# კორაჩის თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. 7 თებერვალი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

**ავტოდორი (რუსეთი) 75:73** ***რიკო (ჰოლანდია)*** **(76:89)**

***პროკომი (პოლონეთი)*** **85:68 ლოკომოტივი (რუსეთი) (71:78)**

***ფენერბაჰჩე (თურქეთი)*** **90:79 ლევსკი (ბულგარეთი) (86:87)**

**დარუშაფაკა (თურქეთი) 69:58** ***ჰემოფარმი (იუგოსლავია)*** **(60:73)**

**ვიოლა (იტალია) 98:87** ***მაკაბი (ისრაელი)*** **(80:106)**

**ნიარ ისტი (საბერძნეთი) 93:88** ***ტრიესტი (იტალია)*** **(74:85)**

***უნიკახა (ესპანეთი)*** **85:57 დიჟონი (საფრანგეთი) (64:68)**

**კასერესი (ესპანეთი) 77:83** ***ატლონი (ბელგია)*** **(83:83)**

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

**მეოთხედფინალი. 28 თებერვალი-7 მარტი**

რიკო (ჰოლანდია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)

პროკომი (პოლონეთი) — ჰემოფარმი (იუგოსლავია)

მაკაბი (ისრაელი) — უნიკახა (ესპანეთი)

ტრიესტი (იტალია) — ატლონი (ბელგია)



უნიკახა — დიჟონი. ფრედერიკ ვეისმა (№13) დიჟონელ ანდრე როდიკს ბურთი გააგდებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორის ბეკერი ექსმეუღლე ბარბარასთან ერთად

# გმირი მამა

## ბორის ბეკერის მესამე შვილი

**ორიოდ** დღის წინ იყო, ბორის ბეკერს და მის აწეწილ პირად ცხოვრებას მორიგი წერილი რომ მივუძღვენით და ერთი შეხედვით, კარგა ხნით ამოვწურეთ ეს თემა, მაგრამ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონს არასდიდებით არ სურს გაზეთების პირველი გვერდებიდან გაქრობა. ოთხშაბათს „ბუმ-ბუმ ბორისმა" საჯაროდ აღიარა, რომ რუსი ანჟელა ერმაკოვას პრეტენზიები სამართლიანია და ის მართლაც 10 თვის ქალიშვილის — ანას მამაა.

„გასულ კვირაში ლონდონში ჩატარებულმა ტესტებმა ცხადყო, რომ ბორის ბეკერი და ანჟელა ერმაკოვა პატარა ანას მშობლები არიან" — ნათქვამია ჩოგბურთელის პრესაგენტის, რობერტ ლუბენოფის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ერმაკოვამ თავისი პრეტენზიები ბეკერს ჯერ კიდევ დეკემბერში წაუყენა და ბავშვის ჩასახვის ზუსტი დრო და ადგილი — 1999 წლის ივლისი, ლონდონის რესტორან „ნობუს" თავზე მდებარე საკუჭნაო, მთელ მსოფლიოს მოსდო. მსოფლიოს პირველი ჩოგანი თავიდან უარყოფდა, თუმცა მამობის დასადგენი ტესტების ჩატარებაზე მაინც დათანხმდა. ორბაშათს ლონდონის სასამართლოში გერმანელის წინააღმდეგ საქმეც აღიძრა და გარდაუვალ მარცხში დარწმუნებულმა ბორისმაც, ეტყობა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

„იმედია, ეს განცხადება ყველა ჭორს ბოლოს მოუღებს. ბავშვები ყველაზე უცოდველი არსებები არიან დედამიწაზე, ძალას არ დავიშურებ, რომ ანას ბედნიერი მომავალი უზრუნველვყო. ვაღიარებ მამობას და ყველა პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ" — განაცხადა თავად ჩოგბურთელმა.



ანჟელა ერმაკოვა:
ბორის ბეკერის მესამე შვილის დედა

მომხდარზე რეაქცია არც ერმაკოვას დაუგვიანებია: „ბოლო თვეები ანასა და ჩემთვის ძალიან რთული გამოდგა, განსაკუთრებით ყველა იმ ბრალდების შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა. ძალიან მიხარია, რომ ანას მამამ, ბორის ბეკერმა, აღიარა ეს ფაქტი. იმედია, მასთან ფინანსურ საკითხებს მალე გადავწყვეტ და ქალიშვილთან ერთად ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდები".

ამავე დროს გერმანულ „შპიგელში" ქვეყნის ერთ-ერთ უპოპულარულეს ადამიანთან დიდ ინტერვიუც დაიბეჭდა. ბორისის თქმით, მეუღლე ბარბარასთან განშორების მიზეზად პატარა ანას გამოჩენა არ ქცეულა: „ის დღეები, როდესაც მთელი ეს ისტორია გამოაშკარავდა, ძალიან მძიმე იყო. ბარბარასთვის ყველაფერი უნდა ამეხსნა. მას სცენები არ მოუწყვია. ყველაფერი გავანდე, არაფერი დამიმალავს".

შეგახსენებთ, რომ ბეკერები დეკემბრის დასაწყისში დაშორდნენ ერთმანეთს, იანვარში კი ხმაურიანი განქორწინება ჩოგბურთელს 30 მილიონ მარკად დაუჯდა.

„ეს ყველაზე დიდი მარცხია ჩემს ცხოვრებაში. კორტზე წაგებული მატჩის შემდეგ შემეძლო, ახალ ტურნირზე მეცადა ძალები, აქ კი ვეღარაფერს გამოასწორებ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ორ ვაჟიშვილსა და მეუღლეს, რომლებიც მიყვარს, ორ ან სამ კვირაში ერთხელ თუ ვნახავდი — აღნიშნა ბორისმა — მეშინია ბავშვების გამო, რომელთაც ისეთ სიტუაციაში მოუხდებათ ცხოვრება, რასაც ვერც დედა და ვერც მამა ვერ გააკონტროლებს".

ბეკერმა, რომელიც ახლა მომღერალ საბრინა სეტლურს ხვდება, საკუთარი შეცდომებიც აღიარა: „ჩემი ქცევა ყოველთვის 100 პროცენტით სწორი არ ყოფილა... მაგრამ იმ ცხრა წლიდან, რომელიც ერთად გავატარეთ, შვიდი უცოდველი იყო. ეს ყველაზე ბედნიერი წლებია ჩემს ცხოვრებაში. მაშინ ჩვენზე ჭორებსაც ვერ გაიგონებდით, მე და ბაბსი თხემით ტერფამდე სრულყოფილი წყვილი ვიყავით".

ბარბარასთან განშორების ერთ-ერთ მიზეზად ბორისმა ექსმეუღლის კარიერის განახლების სურვილი და მათი ცხოვრების სტილი დაასახელა: „ჩვენი სახლი ყოველთვის სავსე იყო, წვეულება აქ, წვეულება იქ. ის, რაც ასე გვაახლოვებდა ერთმანეთს, თანდათან იკარგებოდა, ჩვენს შორის სხვა ადამიანები ჩადგნენ. ეს ჩემთვის მიუღებელი იყო".

ბეკერი ამჟამად მსხვილი სპორტული სააგენტოს მეპატრონე და წარმატებული ბიზნესმენია, თუმცა ნოსტალგიით იხსენებს დროს, როდესაც ცხოვრება გაცილებით მარტივი იყო და მხოლოდ ჩოგბურთზე ფიქრობდა. 1999 წელს სპორტიდან წასვლა მან ჩოგბურთში პიტ სამპრასის ბატონობას მიაწერა: „ვიცოდი, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი აღარასოდეს ვიქნებოდი. საუკეთესო ფორმაშიც რომ ვყოფილიყავი, სამპრასი მაინც მაჯობებდა, ასე რომ, რა აზრი ჰქონდა სპორტში დარჩენას"?

მოახერხებს თუ არა ბორისი პირადი უსიამოვნებებიდან მშრალად გამოსვლას და სკანდალების შემდეგ ყვითელი პრესის თვალსაწიერიდან გაქრობას, დრო გვიჩვენებს.

დევისის თასი. მერვედფინალი

# ძმაო, შძმოდ ხარ ძლიერი

**ამ** უქმეებზე ჩოგბურთის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — დევისის თასის გათამაშების მორიგი სეზონი იხსნება. გათამაშების უმაღლეს ლიგაში მერვედფინალების ჟამია. სანამ გუნდების მზადყოფნაზე მოგახსენებდეთ, წყვილებისა და მატჩების გასამართ საფარ-ადგილებს გაგაცნობთ.

**შვეიცარია — აშშ (ხარდი, ბაზელი)**
**ავსტრალია — ეკვადორი (ბალახი, პერტი)**
**ბრაზილია — მაროკო (თიხნარი, რიო დე ჟანეირო)**
**შვედეთი — ჩეხეთი (ხალიჩა, ჰელსინგბორგი)**
**სლოვაკეთი — რუსეთი (ხარდი, ბრატისლავა)**
**ბელგია — საფრანგეთი (თიხნარი, გენტი)**
**გერმანია — რუმინეთი (ხალიჩა, ბრაუნშვაიგი)**
**ჰოლანდია — ესპანეთი (ხალიჩა, ეინდჰოვენი)**

შვეიცარიელებთან სტუმრობა აშშ-ის გუნდს ახალი კაპიტნის, პატრიკ მაკინროისთვის პირველი მატჩი იქნება ამ თანამდებობაზე. ბევრი იყო საუბარი იმაზე, რომ პატრიკი შვეიცარიელებთან სათამაშოდ წყვილებში თავის უფროს, სახელგანთქმულ ძმას, ჯონ მაკინროის მიიწვევდა, მაგრამ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს მან ახალი თაობის წარმომადგენლები — ჯასტინ გიმელსტობი და ენდი როდიკი არჩია.

„ჯონის მიწვევა ძალიან სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მოთამაშეების გუნდში ჩართვაც. საჭიროა, მომავალზე ახლავე დავიწყოთ ფიქრი, მომავალი აქედან იწყება" — განაცხადა უმცროსმა მაკინროიმ და ზემოხსენებულ მოთამაშეებს გამოცდილი ტოდ მარტინი და შარშანდელი უიმბლდონის მეოთხედფინალისტი ჟან-მაიკლ გემბილიც მიუმატა. ერთეულებში, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელნი იასპარეზებენ.

ამერიკელთა მთავარი პრობლემა ბაზელში 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი როჯერ ფედერერი იქნება. შვეიცარიელმა გასულ კვირას კარიერის პირველი ტურნირი მოიგო და შესანიშნავ ფორმაში გახლავთ. ერთი ეს არის, მასპინძლებს მეორე ხეირიანი მოთამაშე არ მოეძებნებათ: ვეტერანი მარკ როსე დევისის თასს ბოიკოტს უცხადებს, გეორგ ბასტლისა და მიხალ კრატოხვილის იმედზე კი მტერი იყოს.




პატრიკ მაკინროი დებიუტისთვის ემზადება

ყველაზე საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლას, წესით, ბრატისლავაში უნდა ველოდოთ. თუ რუსებს ერთბაშად ორი ვარსკვლავი — მარატ საფინი და ევგენი კაფელნიკოვი ჰყავთ შემადგენლობაში, სამაგიეროდ, მასპინძლებს — ამათი დაუძინებელი მტერი დომინიკ ჰრბატი. სლოვაკი სოჭელ ჟენიას 8:1-ს უგებს პირად შეხვედრებში, მსოფლიოს პირველი ჩოგანი საფინი კი ორიოდ კვირის წინ ავსტრალიის ღია პირველობაზე დაამარცხა.

„იქნებ ჩვენ ფორმალურად ფავორიტებადაც ვითვლებოდეთ, მაგრამ სინამდვილეში შანსები 50:50-ზეა. უფრო მოუხერხებელ მეტოქეს ვერც კი გამოვნახავდით, საოცრად გაგვიჭირდება" — განაცხადა მომავალი მატჩის შესახებ რუსთა მეორე ჩოგანმა კაფელნიკოვმა.

თავის მხრივ, საფინიც ვერ არის საუკეთესო ფორმაში. მილანის ტურნირის მეოთხედფინალში გრეგ რუზეცკისთან წაგების შემდეგ მან დაიჩივლა, რაღაც მიშლის ხელს წესიერად თამაშში, მაგრამ რა — ვერ დამიდგენიაო, ...ანაც საჯაროდ განაცხადა, მწვრთნელს ვეძებ და იქნებ კანდიდატურები მომახსენოთო.

მძიმე გამოცდა ელოდათ ჰოლანდიაში შარშანდელ ჩემპიონ ესპანელებს. მასპინძლებმა მათ ყველაზე მოუხერხებელი საფარი — სწრაფი ხალიჩა დაახვედრეს და უეჭველადაც გაამწარებდნენ, ბოლო წუთს რიჩარდ კრაიჩეკს რომ არ დაელალატებინა. უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს მოურჩენელმა იდაყვის ტრავმამ შეახსენა თავი და თამაშზე უარის თქმა მოუხდა, რის შედეგადაც ჰოლანდიელებს ერთადერთი რიგიანი ჩოგბურთელი — სხენგ შალკენი შერჩათ ხელში.

ესპანელები, რომლებიც აქამდე მარცხს ლამის შერიგებულნიც იყვნენ, უცებ გულზე მოვიდნენ. მით უმეტეს, რომ მათ რიგებს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კარლოს მოია დაუბრუნდა. „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დევისის თასის გუნდში ისევ მომიწვიეს. შარშან იმედგაცრუებული დავრჩი, ფინალს მხოლოდ ტრიბუნებიდან რომ ვადევნე თვალი. ამან სტიმული მომცა, მეტი მეშრომა და კუთვნილი ადგილი დამებრუნებინა" — აღნიშნა მოიამ, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალისტი გახლდათ. მან ერთეულებიდან ალექს კორეჩა ამოაგდო. ეს უკანასკნელი ეინდჰოვენში მხოლოდ წყვილებში იასპარეზებს.

რვა შეხვედრიდან ორის შედეგი თითქმის არავითარ ეჭვს არ იწვევს. ავსტრალიელები, ალბათ, მშრალზე დატოვებენ ბალახზე თამაშს დაუჩვეველ ეკვადორელებს, არნო კლემანით და სებასტიან გროჟანით გაძლიერებულმა ფრანგებმა კი, წესით, იოლად უნდა სძლიონ ბელგიელებს.

**ავთანდილ სვანიძე**



ევგენი კაფელნიკოვს და მარატ საფინს სლოვაკებთან შესაძლოა გაუჭირდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიერი უცნობებში


REUTERS სანქტ ანტონიდან

ვეტერანი ტრინკლი სანქტ ანტონში ჭაბუკებს გადააფრინდა

**სანქტ ანტონში** 7 თებერალს ჯერ კაცთა სწრაფდაშვება გაიმართა. არ იყო ის დღე ფავორიტების: ჰანეს ტრინკლის გამარჯვება ბევრზე ბევრს გაუკვირდა. მართლაც, სწრაფდაშვებისას ყველა ელოდა ჰერმან მაიერის შელანძღული პრესტიჟის აღდგენას, იგი კი მხოლოდ მეორე იყო. ვერცხლის მედალი თავისთავად დიდებული შედეგია, მაგრამ არა ჰერმინატორისთვის, რომელსაც უთქვამს: „მხოლოდ ოქრო ფასობს". მეორე მხრივ, მაიერს თავი დიდად არ მოუკლავს და თვისტომი ტრინკლიც ერთობ აქო. „მეორე ადგილით კმაყოფილი ვარ — თქვა მან — არც ისაა ხუმრობა, ამდენ ფავორიტს რომ ვაჯობე. საუკეთესოდ არ მისრიალია, მაგრამ... ოკეი, როგორც იტყვიან. რომ ვაკვირდები, ჩემპიონატზე სრიალი უფრო მიძნელდება, ვიდრე თასის ეტაპებზე. რას იზამ, ესეც თამაშის ნაწილია".

„სულითა და გულით ვულოცავ ჰანესს — განაგრძო ჰერმინატორმა, რომელსაც ჟურნალისტებმა ბარე სამჯერ მეტი დრო შეწირეს, ვიდრე ჩემპიონს — წლეულს მას კარგი სეზონი აქვს, რაც კარიერის დასალიერს განსაკუთრებით სასიამოვნოა. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ".

მაგრამ სანქტ ანტონში ერთი წარმატება მაინც ჰაერივით სჭირდება ჰერმან მაიერსაც. არ შეიძლება მსოფლიოს პირველობიდან უსახელოდ წავიდეს კაცი, რომელიც თხილამურებმა ხუთ წელიწადში მულტიმილიონერად აქცია და ევროპის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის ჟურნალების სატიტულო გვერდებზე გამოაჩინა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რამდენ დროს უთმობს მას ტელევიზია. მაიერის ბოლო საჩემპიონატო შანსი გიგანტური სლალომია, რომელშიც მთლად ისე ორი თავით არ აღემატება მეტოქეებს, როგორც სუპერგიგანტში, მაგრამ მსოფლიოს თასის ბროლის მცირე გლობუსი ამ სახეობაშიც მისია. ორგზის ოლიმპიურ, მსოფლიოს ჩემპიონსა და ორგზისვე თასის პატრონს ძალების მოკრება მართებს, სხვანაირად „ჰერმინატორობას" დაკარგავს. ყოველ შემთხვევაში რიგი ჟურნალისტები ასე ამბობენ, აღარ დავუძახებთო.


REUTERS სანქტ ანტონიდან

**ჰანეს ტრინკლი**

დაიბადა 1968 წლის 1 თებერალს როსლეიტენში (ავსტრია). მსოფლიოს თასზე 5 ეტაპი მოუგია, 4 სწრაფდაშვება და 1 სუპერგიგანტი; ნაგანოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია და 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სწრაფდაშვებაში.

ტრინკლს, რასაკვირველია, გამარჯვება გაუკვირდა. მას სრულყოფილად არ უსრიალია, მაგრამ სიჩქარე კი რიგიანი განავითარა. „ერთ მომენტში ისე გავქანდი, — ჰყვება ავსტრიელი ვეტერანი — ვიფიქრე, ბიჭოს, ასე ხომ მედალსაც მოვიგებ-მეთქი". ტრინკლზე არანაკლებ გახარებული იყო გერმანელ ფლორიან ეკერტი, რომელიც ცხოვრებაში მე-15 ადგილს არ ასცილებია. 22-ე დაბადების დღეზე ეკერტმა გვარიანი საჩუქარი მიუძღვნა თავის თავს, ხოლო მასმედიის თხოვნაზე, სხვებისთვისაც გაეზიარებინა წარმატების საიდუმლო, უბრალოდ, შემდეგი თქვა: „არ ვიცი, ვერ გეტყვით. იქნებ სულელურად ჟღერდეს, მაგრამ მე ქვემოთ მივსრიალებდი, სულ ეს იყო. მერე მწვრთნელებმა მითხრეს, გიჟივით მოქროდიო, მაგრამ ჩემდათავად არაფერი მიგრძვნია".

წლეულს მსოფლიოს თასზე ეკერტის მეორე სეზონია და მისი საუკეთესო შედეგი მე-18 ადგილი გახლავთ. მოკლედ, გერმანელის ბრინჯაო ტრინკლის ოქროზე მოულოდნელი ამბავია.

სანაკრებო ჩათვლაში კი ქალ-ვაჟთა სწრაფდაშვებების შემდეგ კვლავ გაბატონდნენ ავსტრიელები. ევროპელი მთიელები ახლა მეტად დამაჯერებლად ლიდერობენ და თუმც ქალთა სლალომმა მათი ერთიანი მონაგარი ვერ გაამრავლა, საერთო მდგომარეობას ეს არ დასტყობია: ავსტრია 2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით ლიდერობს, დანარჩენი მსოფლიოს ჯამურ ანგარიშზე კი 5 ოქრო, 2 ვერცხლი და 7 ბრინჯაოა. მაშ, შეგვიძლია ვთქვათ — ავსტრია მსოფლიოს წინააღმდეგ.

| კაცები. სწრაფდაშვება |
|---|
| 1. ჰანეს ტრინკლი (ავსტრია) 1:38,74 |
| 2. ჰერმან მაიერი (ავსტრია)! 1:38,94 |
| 3. ფლორიან ეკერტი (გერმანია) 1:39,26 |
| 4. სილვანო ბელტრამეტი (შვეიცარია) 1:39,37 |
| 5. დერონ რალვსი (აშშ) 1:39,64 |

# ლაპლანდიელი გოგოს დღე


REUTERS სანქტ ანტონიდან

**ანია პაერსონი**

დაიბადა 1981 წლის 25 აპრილს ტაერნაბიში (შვედეთი). მსოფლიოს თასზე მოიგო სლალომის ერთი ეტაპი 1999 წელს. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სლალომში.

სანქტ ანტონში შეღამებულზე პროჟექტორები აანთეს და სასლალომე ფერდობიც თეთრად გამოიკვეთა შებნელებულ არემარეში, სადაც ათასობით მაყურებელი ქალთა სლალომის დაწყებას ელოდა. კაცების არ იყოს, ვერც ქალებში ელირსა მთავარ ფავორიტს პოდიუმის მწვერვალზე შედგომა. იანიცა კოსტელიჩს ვგულისხმობთ. ხორვატმა კომბინაციის წაგება გულგრილად გადაიტანა, მაგრამ როცა სლალომშიც სამეულს მიღმა დარჩა, ცოტა გაფხუკიანდა და სასრიალო ტრასა ირონიულად გააკრიტიკა. თუმცა ტრასა ცალკე თემაა და ამაზე ქვემოთ, ახლა კი წარმოგიდგენთ ანია პაერსონს შვედეთიდან.

მისი სპორტული მიღწევების პაწაწინა ნუსხა (იხილეთ ზემოთ) ცხადყოფს, რომ პაერსონი ჯერ მხოლოდ იწყებს, მაგრამ აქამდეც არ იქნებოდა გასაკვირი, წარმატებები რომ ჰქონოდა. აგერ, ერთი წლით მასზე უმცროსია კოსტელიჩი და რა დღეშია... წლეულს სლალომის შვიდივე სათასო ეტაპი მოიგო პაერსონის ანგარიშზე კი ერთადერთია, ორი წლის წინათ მოგებული და იმის შემდეგ შვედი ერთხელაც არ მდგარა პოდიუმის თავში, თუმც, მწვრთნელი სანაქებო ჰყავს: მამამისი, რომელსაც ადრე სამთოთხილამურობის ყველა დროის ვარსკვლავი, ინგმარ სტენმარკი გაუწვრთნია, ხოლო სტენმარკის მოგებული ეტაპების სია რამდენიმე გვერდზე ჩამოიწერება: მან კარიერის მანძილზე 86 სათასო გარბენი მოიგო და სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი იყო. ლეგენდარული შვედი გუშინწინ ფერდობის ძირში იდგა, ღელავდა და პაერსონის ანერვიულებულ მამას ამშვიდებდა. იქვე იყო პაერსონის დედა და კიდევ რამდენიმე პირი სოფელ ტაერნაბიდან, რომელიც შვედეთის ჩრდილოეთში, იგივე ლაპლანდიაში მდებარეობს. სოფელიც არის და სოფელიც, 500-კაციან პატარა დასახლებას სოფელსაც ძნელად უწოდებ, მაგრამ ტაერნაბი განთქმულია სათხილამურო ტრადიციებით. იქ სრიალს აკვნიდან იწყებენ, ხოლო სახელოვანი ტაერნაბელებიდან სტენმარკის გარდა ასახელებენ მსოფლიოს თასის გამარჯვებულებს, სტიგ სტრანდსა და ბენგ ფიალბერგს.

პაერსონის ქომაგთათვის სანქტ ანტონში ყოველივე კეთილად დაგვირგვინდა. მათმა გოგომ გამორჩეულად ისრიალა და უახლოეს მდევარს ნახევარ წამზე მეტი მოუგო, რაც თავად გაუკვირდა. „სლალომში ჩემს შანსებს სკეპტიკურად ვაფასებდი — თქვა აღელვებულმა პაერსონმა — უფრო გიგანტური სლალომისა მეიმედებოდა". მერე კი წამოვიდა თბილი სიტყვების ნაკადი მწვრთნელი-მამის შესახებ, რომელსაც თურმე პაერსონი ეთაყვანება. „ინგმარმა (სტენმარკი) მითხრა, ძალიან ნერვიულობდაო. ასეც იქნებოდა, ის მარტო მამა კი არა, მეგობარი და კერპიცაა. ყოველ წუთს, როცა მასთან ვარ, ყურები დაცქვეტილი მაქვს, რომ რასაც მეტყვის, არაფერი გამომრჩეს, თუნდაც ეს უბრალო „გამარჯობა" იყოს. მამაჩემი თხილამურობის მეფეა". იქნებ სხვანაირადაც იყოს, მაგრამ პაერსონს მიეტევება, ჩემპიონები ყოველდღე არ ხდებიან.

ვერცხლის მედალი ფრანგ კრისტელ საიონს ერგო, რომელმაც თავისი პროგრამა-მაქსიმუმი შესრულებულად ჩათვალა, რახან მიზნად ნებისმიერი სინჯის მედალი ჰქონია დასახული. მით უმეტეს, კარგ ხასიათზე იქნება ნორვეგიელი ჰედა ბერნსტენი, ვისთვისაც სანქტ ანტონიოს ბრინჯაო კარიერის აქამდე ერთადერთი მიღწევაა.

რა დაემართათ კოსტელიჩსა და სხვებსაც, გამარჯვებულებზე მეტი პრეტენზიები რომ ჰქონდათ? ამ კითხვის პასუხი იქნებ გუშინწინვე წამოჭრილი სკანდალური კამათი იყოს. კონფლიქტი თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) პრეზიდენტმა, ჯანფრანკო კასპერმა წამოიწყო, რომელმაც სლალომის ტრასა დაიწუნა, მეტიც, მას „საშინელი" უწოდა. აი, მისი სიტყვები: „მაინცდამაინც ვინმესკენ თითს ვერ გავიშვერ, მაგრამ ტრასის მომზადებისას ორგანიზატორებმა აშკარა შეცდომები დაუშვეს. შეგვაძრწუნა ტრასის მდგომარეობამ. თასის ეტაპი რომ ყოფილიყო, უეჭველად გადავდებდით". პრობლემა ტრასის არასაკმარის მდგრადობაში იყო, გაყინული არ ყოფილა საკმარისად, რაც კასპერმა მასპინძლებს ნაკლად ჩაუთვალა, მაგრამ მას ლაპარაკი არ მოემთავრებინა, რომ ახლა ავსტრიელები დაიქოქნენ. მათი კონტრიერიში შთამბეჭდავი გამოდგა. პროტესტი გამოთქვა ორგკომიტეტის თავმჯდომარემ, ვერნერ მარგრეიტერმა და მომხდარში, პირიქით, ფის-ის ხალხი დაადანაშაულა, ტრასა მათი სურვილითა და მოსაზრებებით არ გავყინეთ, თორემ როდი გვეზარებოდაო. ავსტრიის ალპური თხილამურობის დირექტორმა, ჰანს პუმმა ასევე პატრიოტული პოზიცია დაიკავა, ხოლო ადგილობრივი თხილამურობის ფედერაციის პრეზიდენტი, პეტერ შროკსნაიდელი უფრო შორს წავიდა, როცა ავსტრიელთაგან მარტის შუაში მსოფლიოს გუნდური პირველობის ბოიკოტით დაიმუქრა, რომელიც, სხვათა შორის, ავსტრიულსავე ზაალბახშია დაგეგმილი. ხოლო ავსტრიელთა გარეშე სამთო თხილამურებში ნებისმიერი ასპარეზობა ფასს კარგავს. ეს სადღეისოდ ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

ფის-ის პრეზიდენტი მთლად ეულად არ დარჩენილა. სასლალომე ტრასის მდგომარეობა მომწარო სიტყვებით აღწერა კურტ ჰოხმა, ფის-ის რბოლათა დირექტორმა. ირონია ჟღერდა იანიცა კოსტელიჩის კომენტარშიც. ხორვატი კი ამბობდა, წაგებები არ მაღელვებსო, მაგრამ ზედიზედ ნაწვნევმა წარუმატებლობამ, ალბათ, მაინც გული დასწყვიტა და ტრასის კრიტიკოსებს შეუერთდა. „ეს უბრალოდ ხუმრობაა და სხვა არაფერი — განაცხადა კოსტელიჩმა — ტრასა თასის ეტაპისთვისაც არ ვარგოდა. უკვე პირველი სრიალის შემდეგ იგი საშინლად ანგრეული იყო". კრიტიკოსთა სასარგებლო არგუმენტი ისიცაა, რომ 83 მოთხილამურიდან ზუსტად ნახევარმა ფინიშსაც ვერ უწია.

**დავით გულუა**

| ქალები. სლალომი |
|---|
| 1. ანია პაერსონი (შვედეთი) 1:32,95 |
| 2. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) 1:33,56 |
| 3. ჰედა ბერნსტენი (ნორვეგია) 1:33,99 |
| 4. საბინე ეგერი (ავსტრია) 1:34,13 |
| 5. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:34,40 |


REUTERS სანქტ ანტონიდან

ანია პაერსონმა ჩემპიონობის გემო გაიგო

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. 21-ე ტური** | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | |
| 23.15 | 001 | აინტრახტი-კოტბუსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 18.30 | 002 | შალკე-მიუნხენ 1860 | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.30 | 003 | კაიზერსლაუტერნი-უნტერჰახინგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.30 | 004 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 005 | ბაიერნი-შტუტგარტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.15 | 008 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 20.30 | 009 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.30 | 010 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. 21-ე ტური** | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | |
| 22.00 | 011 | ჰანოვერი-ზაარბრიუკენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 012 | კიკერსი-ზანქტ პაული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 013 | მიონხენგლადბახი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 014 | ქემნიცი-ოსნაბრიუკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 015 | როიტლინგენი-ნიურნბერგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 016 | არმინია-მაინცი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ულმი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 018 | ვალდჰოფი-ალენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.15 | 019 | დუისბურგი-ალემანია | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. 27-ე ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 020 | არსენალი-იფსვიჩი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 021 | არსენალი-იფსვიჩი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 022 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 023 | ჩელსი-მანჩესტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 024 | ევერტონი-ლესტერი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 025 | ლიდსი-დერბი ქაუნთი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 026 | მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 027 | საუთჰემპტონი-ბრედფორდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 028 | სანდერლენდი-ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 20.00 | 029 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 24.00 | 030 | ვესტ ჰემი-ქოვენთრი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. 31-ე ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 031 | ბარნსლი-ფულემი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 19.00 | 032 | ბოლტონი-ჰადერსფილდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 033 | ბოლტონი-ჰადერსფილდი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 034 | ბარნლი-კრისტალ პალასი | 1,85 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 035 | ჯილინგემი-გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 036 | ნორვიჩი-კრიუ | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 037 | ნოტინგემი-ბლეკბერნი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 038 | პრესტონი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,3 | 5,0 |
| 19.00 | 039 | შეფილდი-ბირმინგემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 040 | ტრანმერი-ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 041 | უოტფორდი-პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 042 | ვესტ ბრომვიჩი-სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 043 | უიმბლდონი-უესხდი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. 31-ე ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 044 | ბრენტფორდი-რედინგი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 045 | როვერსი-ნოტსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | კოლჩესტერი-უიგანი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 047 | ნორთჰემპტონი-ლუტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 048 | ოლდემი-რექსემი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 049 | ოქსფორდი-უიკომბი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 050 | პიტერბრო-სტოკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 051 | პორტ ვეილი-ბორნმუთი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 052 | როტერჰემი-კემბრიჯი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 053 | სუინდონი-ბრისტოლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 054 | უოლსოლი-ბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 055 | უოლსოლი-ბერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 17.00 | 056 | სუონსი-მილუოლი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. 31-ე ტური** | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 057 | ჩესტერფილდი-ჩელტენემი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 19.00 | 058 | ბრაიტონი-კარდიფი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 059 | დარლინგტონი-შრიუსბერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 060 | ექსეტერი-მაკლსფილდი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 061 | ჰალიფაქსი-მენსფილდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 062 | ჰარტლპული-ბლეკპული | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 063 | ჰალი-ლეიტონი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 064 | კიდერმინსტერი-ბარნეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 065 | ლინკოლნი-ტორკი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 066 | პლიმუთი-საუთენდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 067 | როჩდეილი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 068 | სკანთორპი-იორკი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| | | **იტალია. სერია A. მე-18 ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 069 | ლაციო-ატლანტა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 070 | ლაციო-ატლანტა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.30 | 071 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 072 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 073 | ბოლონია-რომა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 18.00 | 074 | ბრეშა-უდინეზე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 075 | ფიორენტინა-პარმა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 076 | იუვენტუსი-ნაპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 077 | იუვენტუსი-ნაპოლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 078 | ლეჩე-პერუჯა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 18.00 | 079 | ვერონა-ბარი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 080 | ვიჩენცა-მილანი | 3,8 | 2,8 | 2,0 |
| | | **იტალია. სერია B. 22-ე ტური** | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 081 | პესკარა-კალიარი | 3,2 | 2,5 | 2,3 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 18.00 | 082 | ანკონა-სიენა | 1,9 | 2,6 | 5,3 |
| 18.00 | 083 | კროტონე-კოზენცა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 084 | ჯენოა-ემპოლი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 085 | პიაჩენცა-რავენა | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| | 086 | პიაჩენცა-რავენა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 087 | პისტოიეზე-სამპდორია | 3,2 | 2,5 | 2,4 |
| 18.00 | 088 | სალერნიტანა-მონცა | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 089 | ტერნანა-ჩიტადელა | 1,55 | 2,8 | 7,5 |
| 18.00 | 090 | ტრევიზო-კიევო | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.45 | 091 | ვენეცია-ტორინო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| | | **იტალია. სერია C1/a. 22-ე ტური** | | | |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 092 | ალბინოლეფე-ალესანდრია | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 17.30 | 093 | ალძანო-მოდენა | 3,2 | 2,5 | 2,4 |
| 17.30 | 094 | არეცო-სპალ | 1,75 | 2,4 | 6,0 |
| 17.30 | 095 | ჩეზენა-ლუკეზე | 1,85 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 096 | კომო-ვარეზე | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 17.30 | 097 | ლივორნო-ბრეშელო | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| 17.30 | 098 | ლუმეცანე-პიზა | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 099 | რეჯანა-კარარეზე | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 100 | სპეცია-ლეკო | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| | | **იტალია. სერია C1/b. 22-ე ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 101 | ტორესი-ფერმანა | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 17.30 | 102 | ნოჩერინა-აველინო | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 103 | სავოია-ბენევენტო | 1,55 | 2,9 | 7,0 |
| 17.30 | 104 | ასკოლი-დი სანგრო | 1,75 | 2,6 | 5,0 |
| 17.30 | 105 | ატლეტიკო-ჯულიანოვა | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 106 | ფ.ანდრია-კაილა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 17.30 | 107 | პალერმო-ლოდიჯანი | 1,35 | 3,4 | 8,0 |
| 17.30 | 108 | პეზარო-ვიტერბეზე | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| | | **12 თებერვალი** | | | |
| 23.30 | 109 | მესინა-კატანია | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. 22-ე ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 21.00 | 110 | რაიო ვალეკანო-ოსასუნა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.15 | 111 | ბილბაო-რეალი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 23.45 | 112 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 113 | დეპორტივო-სოსიედადი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 24.00 | 114 | ესპანიოლი-სელტა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 24.00 | 115 | ვალენსია-ნუმანსია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 116 | ვალენსია-ნუმანსია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 20.00 | 117 | ალავესი-სარაგოსა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 118 | ოვიედო-ვილიარეალი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 119 | ვალიადოლიდი-ლას პალმასი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 120 | მალაგა-მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 121 | რასინგი-ბარსელონა | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. 24-ე ტური** | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | |
| 21.00 | 122 | სევილია-ელჩე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 123 | სევილია-ელჩე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | **11 თებერვალი** | | | |
| 15.00 | 124 | კორდობა-უელვა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 16.00 | 125 | უნივერსიდადი-ლევანტე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 20.00 | 126 | ფეროლი-ბეტისი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 20.00 | 127 | ბადახოსი-კომპოსტელა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 128 | ატლეტიკო-ხაენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 129 | ესტრემადურა-სპორტინგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 130 | ეიბარი-ალბასეტე | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 20.00 | 131 | მურსია-ლეგანესი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 20.00 | 132 | სალამანკა-ლეიდა | 1,3 | 4,0 | 7,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 133 | სალამანკა-ლეიდა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 134 | ტენერიფე-ხეტაფე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 135 | ტენერიფე-ხეტაფე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. 21-ე ტური**

**9 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 136 | გრააფსხაპი-სპარტა | 1,9 | 3,2 | 3,3 |

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 137 | ბრედა-ტვენტე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 22.30 | 138 | პსვ-ალკმაარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 139 | პსვ-ალკმაარი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 140 | როდა-როზენდალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 141 | როდა-როზენდალი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 142 | აიაქსი-ტილბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 143 | აიაქსი-ტილბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 17.30 | 144 | უტრეხტი-ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 17.30 | 145 | ვალვაიკი-ვიტესი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 20.15 | 146 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 147 | ფეიენოორდი-გრონინგენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-20 ტური**

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 148 | ექსელსიორი-დენ ჰააგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 149 | იგლსი-ტელსტარი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 150 | ემენი-ვენლო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 151 | ემენი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 152 | ჰაარლემი-ზვოლე | 4,4 | 2,9 | 1,75 |
| 22.00 | 153 | დორდრეხტი-ეინდჰოვენი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 22.00 | 154 | კამბური-ვეენდამი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 155 | კამბური-ვეენდამი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 156 | ჰელმონდი-ჰერაკლესი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 157 | ვოლენდამი-მაასტრიხტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 158 | ვოლენდამი-მაასტრიხტი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 17.30 | 159 | ოსი-დენ ბოსხი | 3,8 | 3,1 | 1,8 |

**ბელგია. I დივიზიონი. 22-ე ტური**

**9 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 160 | ლუვიე-ბრიუგე | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 23.30 | 161 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 162 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 163 | გენკი-ბევერენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 164 | ლიერსი-შარლერუა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 165 | მუსკრონი-სენტ ტრუიდენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 166 | მუსკრონი-სენტ ტრუიდენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 167 | გენტი-ვესტერლო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 168 | ლოკერენი-აალსტი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 169 | ბეერსხოტი-ჰარელბეკე | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| | 170 | ბეერსხოტი-ჰარელბეკე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 171 | სტანდარდი-მეხელენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 172 | სტანდარდი-მეხელენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ბელგია. II დივიზიონი. 23-ე ტური**

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 173 | მონსი-სტრომბეკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 174 | ლიეჟი-გეელი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 23.00 | 175 | ჰეუსდენი-სერკლი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 176 | ლომელი-ოსტენდე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 177 | ლომელი-ოსტენდე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.00 | 178 | მაასლანდი-ტინენი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 179 | დაინცე-დენდერლეუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 180 | ტურნჰაუტი-დესელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 181 | ტურნჰაუტი-დესელი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 182 | მოლენბეკი-ჰეკელგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 183 | მოლენბეკი-ჰეკელგემი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 184 | რუზელარე-ინგელმუნსტერი | 3,0 | 2,9 | 2,3 |

**საბერძნეთი. მე-18 ტური**

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 185 | არისი-პანათინაიკოსი | 3,6 | 2,9 | 2,0 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 186 | ათინაიკოსი-პანაჰაიკი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 187 | ეთნიკოსი-აეკ | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 188 | ქსანთი-იანინა | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 18.00 | 189 | ოფი-პანილიაკოსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 190 | ირაკლისი-კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 191 | ირაკლისი-კალამატა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 192 | იონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 3,8 | 3,1 | 1,9 |

**12 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 193 | პანიონიოსი-პაოკ | 3,0 | 2,9 | 2,3 |

**თურქეთი. მე-20 ტური**

**9 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 194 | ტრაბზონი-სამსუნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 195 | ტრაბზონი-სამსუნი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 196 | ადანა-იეთფა | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 15.30 | 197 | ანკარაგიუჯიუ-ისთანბული | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 15.30 | 198 | გაზიანთეფი-ქოჯაელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 199 | გაზიანთეფი-ქოჯაელი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 200 | გალათასარაი-ბურსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 201 | გალათასარაი-ბურსა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 202 | ერზურუმი-დენიზლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.30 | 203 | რიზე-ბეშიქთაში | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 15.30 | 204 | ანთალია-იოზგათი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 205 | ფენერბაჰჩე-გენჩლერბირლიგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 206 | ფენერბაჰჩე-გენჩლერბირლიგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**შოტლანდია. 28-ე ტური**

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 207 | დანდი-ჰართსი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 208 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 209 | ჰიბერნიანი-სენტ მირენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 210 | ჰიბერნიანი-სენტ მირენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 211 | მოზერუელი-აბერდინი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.15 | 212 | სელტიკი-რეინჯერსი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 22.05 | 213 | სენტ ჯონსტონი-კილმარნოკი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

**ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი. გადათამაშება**

**12 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 214 | უიმბლდონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,9 | 2,3 |

**საფრანგეთი. თასის 1/16 ფინალი**

**9 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 215 | ლიონი-სენტ ეტიენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 216 | ბორდო-ნანტი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 217 | შატორუ-მარსელი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 218 | პსჟ-ოსერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23.00 | 219 | ბასტია-მეცი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**პორტუგალია. თასის 1/4 ფინალი**

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 220 | ბრაგანცა-პორტუ | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 19.00 | 221 | ფერეირა-მარიტიმუ | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 222 | მორეირენსე-ბოავიშტა | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 19.00 | 223 | ფამალიკაო-სპორტინგი | 7,5 | 4,0 | 1,3 |

**ჰოკეი**

**9 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 901 | აილენდერსი-ფილადელფია | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 902 | ატლანტა-ბოსტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 903 | ფლორიდა-რეინჯერსი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.30 | 904 | დალასი-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 905 | კოლორადო-კალგარი | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 06.00 | 906 | ფინიქსი-ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.30 | 907 | ანაჰაიმი-ვაშინგტონი | 2,3 | 4,0 | 1,9 |

**10 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 908 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 909 | ბოსტონი-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 910 | ტორონტო-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 911 | მონრეალი-აილენდერსი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 912 | ოტავა-ბუფალო | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 04.00 | 913 | ატლანტა-ფლორიდა | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 914 | კოლუმბუსი-ნეშვილი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.30 | 915 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 07.00 | 916 | ვანკუვერი-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 07.30 | 917 | ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 918 | სან ხოსე-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**11 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 919 | რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 23.00 | 920 | მინესოტა-პიტსბურგი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.00 | 921 | ბუფალო-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 05.00 | 922 | დალასი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 923 | ანაჰაიმი-კაროლინა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 924 | ფინიქსი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 3,0 |

**12 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 925 | ოტავა-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 926 | კოლუმბუსი-რეინჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 927 | ლოს ანჯელესი-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

# ჩრდილოეთი და სამხრეთი უშბაზე გაერთიანდა

## ფიქრები მთამსვლელობაზე

*ჩვენს ულამაზეს ორთავა მწვერვალ უშბას ერთმანეთთან შეუყრია არა მხოლოდ ჩრდილოეთი და სამხრეთ კავკასია, არამედ დედამიწის უმაღლეს პიკ ევერესტზე 1999 წელს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ამსვლელი ქართველი მთამსვლელები: აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, მერაბ ხაბაზი და მამუკა ციხისელი. ახლახანს ბიძინა გუჯაბიძის მეთაურობით მათი უშბაზე ასვლის ამბავი ჯერ კიდევ მაშინ გაუწყეთ, როცა ისინი მწვერვალის ძირამდე ჩამოსულნი არ იყვნენ. იმ ინფორმაციაში ხაზგასმით აღვნიშნეთ ორად გაყოფილი ქართველ მთამსვლელთა ერთ მუშტად შეკვრისა და შუაგულ ზამთარში მათი უშბაზე ასვლის ამბავი, რაც იშვიათი რამაა. ეს ორი ამბავი ასევე ხაზგასმით აღნიშნეს თავად მთამსვლელებმაც, როცა თბილისში სატელევიზიო ინტერვიუ ჩამოართვეს. მაშინ ბიძინა გუჯაბიძემ და მერაბ ხაბაზმა თქვეს, ჩვენთვის უშბაზე ასვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევერესტზე ლაშქრობაო. მათმა შეფასებამ მსმენელთა ნაწილი დააბნია და ჩვენც თემის გაგრძელება გადავწყვიტეთ.*



უშბა და მისკენ მიმავალი მთამსვლელები

ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

**მართლაც**, ერთი შეხედვით სად უშბა და სად ცას მიბჯენილი ევერესტი, სადაც ჩვენი მწვერვალი თავის ორივე თავიანად სიმაღლეშიც და სიგანეშიც ორი გამოიჭრება. მეორეს მხრივ, ჰიმალაური მასშტაბებით ჩვენი ტანმორჩილი მწვერვალი ტექნიკური სირთულით იმ ბუმბერაზზე ბევრად აღმატებულია. ამიტომ საეჭვოა, რომ ყველა მთამსვლელმა, ვისაც ევერესტიდან გადმოუხედია, უშბაზე ასვლაც შესძლოს. მაგრამ, იმავდროულად, ევერესტი იმდენად დიდია, რომ ასევე სათუოა მასზე ასასვლელად უშბის ყველა დამლაშქრავს ეყოს ძალა, ენერგია, ამტანობა და მამაცობა. გამოდის, რომ ყველაზე ძლიერი მთამსვლელი ის ყოფილა, ვინც ერთგანაც ასულა და მეორეგანაც, ან ამ ორ მწვერვალთან მიახლოებულ პიკებზე მაინც.

და რაკი ჩვენი მთამსვლელები უშბაზე და ევერესტზე ლაშქრობებს ერთმანეთს მაინც ადარებენ, გვახსენდება ცნობილი რუსი მთამსვლელის ვლადიმერ შატაევის ნათქვამიც, როცა მან თავისი ალპინისტური კარიერიდან ყველაზე მეტად სწორედ ჩვენს მწვერვალზე ასვლა გამოარჩია. და ეს მაშინ, როცა უშბაზე ახალგაზრდობაში სპორტული ფორმის ზენიტში ასულა, ევერესტიდან კი ლამის სიბერის ჟამს, 60 წლისას თავზე საყრელი თავგადასავლების მერე გადმოუხედია და იქიდან განგების წყალობით, ცოცხალი და თითქმის უვნებელი, მაგრამ მაინც დიდი გაჭირვებით დაბრუნებულა.

სხვათა შორის, ჩვენი წერილის გმირებსაც სხვადასხვა დროს დიდი თავგადასავლები ჰქონიათ, მათ შორის მერაბ ხაბაზსაც, 1998 წლის ზამთარში უშბაზე ასვლის ცდისას, რაც წარუმატებლად დამთავრდა და უარესიც რომ არ მოხდა, სასწაული იყო.

მაშინ ხაბაზი ასვლისას პირველსავე დღეს, სადღაც 3500 მეტრის სიმაღლეზე რომ იყო, მოწყდა და 70 მეტრი „იფრინა“. „იფრინა“ და... მხოლოდ ფეხის მოტეხვით გადარჩა. მანამდე ზაფხულშიც წარუმატებელი ლაშქრობა ჰქონდა უშბაზე და მაშინაც გვარიანად „იფრინა“. თუმცა შედარებით იოლად გადარჩა. ახლა მას ოცნება აუსრულდა, უშბა დალაშქრა, თანაც ზამთარში.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, მოულოდნელი აღარცაა, რომ მერაბ ხაბაზი უშბაზე ასვლას ევერესტზე ლაშქრობასთან შედარებით უფრო პრესტიჟულად მიიჩნევს.

აი, ბიძინა გუჯაბიძე რატომღა გამოარჩევს უშბაზე ამჟამინდელ ასვლას, ეს კი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გვეჩვენა.

საქმე ისაა, რომ ბიძინა უშბაზე, როგორც ვიუწყებოდით, მერვედ ავიდა, თანაც სხვადასხვა მარშრუტით. ამასთან, მისთვის ეს მეორე ზამთრის ასვლა იყო ამ მწვერვალზე.

და მაინც, ბიძინა გუჯაბიძე ასეთი გახარებული არც ერთი ასვლის მერე არ გვინახავს.

რატომ?

— უშბაზე იმ წარმატებული რვა ლაშქრობის გარდა კიდევ ექვსჯერ ვცადე მიზნის მიღწევა, მათ შორის ერთხელ ზამთარში, მაგრამ ახლანდელი ასვლა ჩემთვის ჭეშმარიტი დღესასწაული აღმოჩნდა — გვიამბობს ბიძინა გუჯაბიძე — მთლიანად ჩემს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, მხოლოდ უშბაზე ვივლიდი. მასზე 35-ზე მეტი მარშრუტი ან მათი ვარიანტია. როგორც იტყვიან, სირთულით ყველა ერთმანეთზე უარესია. შედარებით მარტივი ჩრდილოეთის ქედია. უშბასთან ჩემი პირველი შეხვედრა 1984 წლის ზამთარში მოხდა. მაშინ მასზე ზამთარში პირველი მოლაშქრე გუნდის დამხმარე ჯგუფში ვიყავი. ის ასვლა დიდი ტრაგედიით დასრულდა, როცა ჩვენი მეგობრები ირაკლი გელდიაშვილი, დევი თარხნიშვილი, დავით კობახიძე, გიორგი ზუმბაძე, გია ტუშური და მურად ჭიჭინაძე ჩამოსვლისას დაიღუპნენ. ახლანდელი ჩვენი ლაშქრობა სწორედ მათ ხსოვნას მივუძღვენით.

ამ მწვერვალზე ასვლისას ან ასვლის მცდელობისას სხვაც ბევრი დაღუპულა, მათ შორის შარშან თებერვალში ზვავში მოხვედრილი შვიდი რუსი მთამსვლელი და ერთიც სხვა გუნდიდან, რომელიც უშბის მყინვარის ზემო წელს შეეყინა. ესეც ამ მწვერვალის სირთულეზე მიუთითებს.

უშბა მთამსვლელთა ერთგვარი საჯილდაო ქვაა. ამას ყველა აღიარებს, ჩვენებურიცა და უცხოელიც, ვინც მასზე ასულა და ალპების ურთულეს მწვერვალებზეც. რის ეიგერი, რა პტი დრიუ, ან გრან ჟორასიო, ამბობენ ისინი. ამიტომ ის, ვინც ერთხელ მაინც ასულა უშბაზე, თავს ბედნიერ მთამსვლელად მიიჩნევს. ერთი ჩემი მეგობარი რუსი, კოლია ზახაროვი, რომელიც ძალზე ძლიერი მთამსვლელია და ევერესტზეც ასულა, ძალიან წუხს, უშბაზე არ ვყოფილვარ და ისე როგორ უნდა მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ ავიდეო.

**— და მაინც, უშბაზე პირადად თქვენ მეორედ ახვედით ზამთარში, თანაც ისევ იმ სამხრეთ აღმოსავლეთის ქედის გავლით, რომელიც მასზე გზის გამკვალავ გაბრიელ ხერგიანის მარშრუტითაა ცნობილი. რითი სჯობდა ეს ასვლა იმ ლაშქრობას? ცხადია, უშბაზე ზამთარში ასვლა გაცილებით რთულია და ბევრს ნიშნავს. მაგრამ უარესი სიცივისა და დიდთოვლობის გარდა ზამთრის ასვლა ზაფხულისაგან რითი განსხვავდება?**

— დიდთოვლობა და სიცივე ცოტას სულაც არ ნიშნავს. მაგალითად, ახლა კარავში შეყუჟულთ საათზე ელემენტით მომუშავე თერმომეტრი 17 გრადუსზე გამეყინა. ცხადია, გარეთ უარესი ყინვა იყო, ჩემი ვარაუდით 40 გრადუსამდე. ამ დროს თუ მზის სხივები გეცემა, რა გიჭირს, ჩრდილში კი საშინლად ცივა და კარავიც ვერ გშველის. ამონასუნთქი ორთქლად გარდაიქმნება, კარვის კალთებს ეხება და იყინება. ამ დროს კარავს შიგნიდან ყინულის გარსი აკრავს. მერე ის ყინული თრთვილად გარდაიქმნება და საძილე ტომარაში ჩაფუთნულს ისე გათოვს, როგორც გარეთ. პრიმუსზე საჭირო რაოდენობის ყინულის გალღობაზე, ვახშმის მომზადებასა და ჩაის მოდუღებაზე 3-3,5 საათი გეხარჯება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზამთარში დღის ხანგრძლივობა ძალიან მცირეა და კარვის დასადგმელი ადგილის მოძებნა და მომზადებაც უნდა მოასწრო, დილით კი იქიდან გამოძრომაზე ზაფხულთან შედარებით ბევრად მეტი დროც დახარჯო, ნათელი გახდება წელიწადის ამ ორ დროში ასვლებს შორის განსხვავება. ზაფხულში, მაგალითად, უშბაზე იმავე მარშრუტს ერთი ღამისთევით გავდივართ, ახლა კი 8 დღე მოვუნდით. შესაბამისად, გაცილებით მძიმე ბარგით სიარული გიწევს. ზამთარში სავალს ართულებს ფქვილივით გამომშრალი თოვლიც, რომელზეც ფეხს ვერ იკიდებ და ნაკვალევსაც ვერ ტოვებ, რადგან იქიდან ფეხის ამოღებისას ნაფეხური უმალ თოვლით ივსება, როგორც ნახერხში. იმ თოვლში ძალზე ძნელია საპალოე ადგილის მოძებნა. ზვავის საშიშროებაც ერთი ორად მეტია. ამიტომ ასვლისას და ჩამოსვლისასაც ერთმანეთის დაცვის ორგანიზებაზე ზამთარში მეტი დრო გვეხარჯება, ვიდრე სიარულისას. თვითონ კედელი ზამთარ-ზაფხულ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. და თუ მას მზე ადგება, საკმაოდ თბება და უხელთათმანოდაც შეიძლება სიარული...

**— მაგრამ ეს ყველაფერი — ყინვაც, დიდთოვლობაც, ტვირთიც და ამას დამატებული უჟანგბადობა თუ სხვა ათასი რამ ხომ ევერესტზეც თავზე საყრელადაა...**

— იქ ასვლისას თუ ცუდად გახდები, ნებისმიერ დროს შეგიძლია სხვასთან ერთად ან მარტოც უმალ მობრუნდე, დაეშვა და თავიც კარგად იგრძნო, უშბიდან ჩამოსვლა კი ასვლაზე იოლი სულაც არ არის. 500 მეტრით დაშვებას 5 საათს ანდომებ. ზამთარში ეს მთელი დღის დაკარგვას ნიშნავს. ამასთან, ევერესტზე 6500 მეტრის სიმაღლეზე თუ ცა მოწმენდილია, მზის სხივებში ტემპერატურა პლუს 40 გრადუსამდე აღწევს, ჩრდილში კი 20-25 გრადუსი სითბოა. ასეთ პირობებში ორგანიზმი სითბოთი იმუხტება, კავკასიონზე კი ზამთრობით სულ ცივა.

**— ოჯახაშენებულებო, ნეტა რა ძალა გადგათ, მაზოხისტები ხომ არ ხართო, ალბათ იფიქრებს მკითხველთა ნაწილი...**

— ამ მხრივ ყველაზე უკეთ სწორედ სვანეთში ვგრძნობთ თავს. იქ ამგვარ კითხვებს არ გვისვამენ, არც გულში ივლებენ. მათ ჩვენი ძალიან კარგად ესმით და გულთან ახლოს მიაქვთ იქაურ და სხვა მთამსვლელთა სიხარული, მწუხარება თუ გასაჭირი. ამიტომ სვანი სხვასავით არასოდეს გეტყვით, სად მიდიხართ? უკაცრავად, მაგრამ გიჟები ხომ არ ხართო? ახლაც უშბის ძირას მდებარე სოფელი, მთელი ბეჩო გვეხმარებოდა, გვგულშემატკივრობდა და ჩვენზე ლოცულობდა, მშვიდობით დააბრუნეო. მწვერვალიდან ჩვენი ჩამოსვლა მათთვის დიდი ზეიმი იყო. ჩვენი წარმატება ჩვენზე მეტად უხაროდათ. ჰოდა, იყო ერთი გადაპატიჟ-გადმოპატიჟება. სამწუხაროდ, ცუდად მოვიქეცით, ძალიან ვაწყენინეთ, როცა იქ კიდევ რამდენიმე დღით არ დავრჩით.

**— მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ, რითი იყო ეს ასვლა უშბაზე თქვენს პირველ ზამთრის ლაშქრობასთან შედარებით გამორჩეული?**

— მაშინ 1989 წელი იყო. ასასვლელად დროც თავზე საყრელად გვქონდა, დაფინანსებაც, შესაბამისად სასმელ-საჭმელიც და ზურგს მთამსვლელთა 30-კაციანი დამხმარე ჯგუფიც გვიმაგრებდა ფიზიკურადაც და მორალურადაც. ახლა მხოლოდ ოთხნი ვიყავით ერთმანეთის იმედად. ცხადია, გაცილებით ცუდ ვითარებაში და კლიმატურ პირობებში.

**— რვადღიანი ლაშქრობიდან ყველაზე მძიმე დღე რომელი იყო?**

— ასეთი ბოლო ღამისთევა გამოდგა. სწორედ მაშინ ტექნიკურად ყველაზე რთული მონაკვეთი — კედელი ავათავეთ. იქ პატარა მაგიდის ოდენა ადგილზე კარავი დავდგით. ცხადია, კარავი მთლიანად ვერ გაიშალა და ნახევრად გადაკიდებული იყო. რა თქმა უნდა, დაცვით გვეძინა, თუ ამას ძილი ჰქვია. კარავი კლდეზე იყო მიბმული და ჩვენც. შუაღამისას, ასე ორ საათზე ვიგრძენით, რომ კარავი უფსკრულისკენ შეუმჩნევლად მიცურდა. ჩვენც რიგრიგობით გამოვძვერით იქიდან. ეს სათქმელადაა იოლი, თორემ საქმით საკმაოდ რთულია. ჯერ ერთი, ერთმანეთში ჩაწნეხილები ვართ და თოკებში გახლართულნი. მეორეც, ყველაფერი გაცვია და კარვის კალთები თავზე გემხობა. ასე გაკოჭილი და ჩაფუთნილი კაცისთვის საკმაოდ რთულია საძილე ტომრიდან ამოძრომა და ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში ფეხსაცმლის ჩაცმა. თანაც იმ ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა.

ერთი სიტყვით, ნამდვილად არ იყო სასიამოვნო რვადღიანი ასვლით დაქანცულთათვის იმ საშინელ ღამეს კარვიდან გამოფოფხება და უკუნეთში დატრიალებულ თოვლის კორიანტელში მისი თავიდან გამართვა. შუადღისას კი მწვერვალზე ვიდექით. იმ დღესვე კედელი ჩამოვათავეთ და უფრო ქვემოთაც დავეშვით. გაბრიელ ხერგიანის მარშრუტი, მგონი, ზუსტად გავიარეთ, რადგან „გზად“ საკმაოდ შეგვხვდა ხის პალოები და მჭედლის ნახელავი რკინის პალოებიც, რომლებსაც 30-იან წლებში ხმარობდნენ ადგილობრივი მთამსვლელები, მომდევნო თაობები კი მათი „გზიდან“ ოდნავ გადახვევით ადიოდნენ, რადგან ძველ სავალზე ზაფხულის ასვლებისას კედელზე წყალი ჩამოდის.

ასე იყო თუ ისე, წინამორბედთა მიერ ზაფხულში განხორციელებული იმ პირველი ასვლისა და ამ ზამთრის ლაშქრობებს შორის თავისებური ხიდი გავდეთ და ესეც ძალიან გაგვიხარდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ეს მწვერვალი არ არის. ეს მხოლოდ მისი ერთ-ერთი „კბილია“

ბიძინა გუჯაბიძის ფოტო



მწვერვალამდე ჯერ კიდევ დიდი „გზაა“

# აჯობებს რენო ბენეტონს?

## ბენეტონი

გუნდი დაარსდა 1970 წელს (1986 წლამდე — „ტოულმენი“)
**„რენო-სპორტის“ პრეზიდენტი:** პატრიკ ფიური
**აღმასრულებელი დირექტორი:** ფლავიო ბრიატორე
**ტექნიკური დირექტორი:** მაიკ გასქოინი
**ბოლიდი — 2001:** „ბენეტონ B 201“
**ძრავა:** „რენო-სპორტ RS 21“
**საბურავები:** „მიშელინი“
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1981 წლიდან
300 რბოლა; 27 მოგება; 16 პოული; 38 უსწრ. წრე; 868 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 2; კონსტრუქტორთა თასი — 1
ტესტ-პილოტი მარკ ვებერი (ავსტრალია)



**ჯანკარლო ფიზიკელა**
**იტალია**

დაიბადა 1973 წლის 14 იანვარს რომში. ცხოვრობს მონტე კარლოში

სიმაღლე 172 სმ, წონა 70 კგ

ცოლშვილიანი

დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)

74 რბოლა, 1 პოული, 1 უსწრაფესი წრე, 67 ქულა

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეექვსე ადგილი (2000)

ასპარეზობდა „მინარდიში“ (1996), „ჯორდანში“ (1997)

„ბენეტონშია“ 1998 წლიდან



**ჯენსონ ბატონი**
**დიდი ბრიტანეთი**

დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს ფრომში. ცხოვრობს მონტე კარლოში

სიმაღლე 182 სმ, წონა 74 კგ

უცოლო

დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)

17 რბოლა, 12 ქულა

შარშანდელ ჩემპიონატში დაიკავა მერვე ადგილი

ასპარეზობდა „უილიამსში“ (2000)

„ბენეტონშია“ 2001 წლიდან

**ბოლო** ათწლეულის ტრიუმფატორი „რენო“ ფორმულას დაუბრუნდა. ამ უმსხვილესი ფრანგული ავტოსაწარმოს ფანტასტიკურმა ძრავამ, რომელიც სამყაროს მერვე საოცრებად მონათლეს, 90-იან წლებში გადატრიალება მოახდინა: „უილიამსისა“ და „ბენეტონის“ პილოტებმა ბერნარ დიუდოს მიერ შექმნილი შედევრით ზედიზედ ექვსი კონსტრუქტორთა თასი, აგრეთვე ჩემპიონის ხუთი ტიტული მოიხვეჭეს.

სამი წლის წინ, რაკი საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა, „რენომ“ სამეფო რბოლები მიატოვა და დროებით ჩრდილში მოექცა. სცენაზე ხელახალ გამოჩენას ორი მიზანი აქვს — კვლავ ჩემპიონობა და აქედან გამომდინარე, გასაღების ბაზარზე წამყვანი პოზიციების აღდგენა. საამისოდ ფორმულაზე უკეთესი რეკლამა ხომ არც არსებობს. კონცერნი ყოველწლიურად ორ მილიონამდე მანქანას ყიდის. წარმატების შემთხვევაში, თუკი ფრანგები „მაკლარენ-ფერარის“ ჰეგემონიის შერყევას შეძლებენ, ეს რაოდენობა სამოთხჯერ მაინც გაიზრდება.

იტალიელი ტანსაცმლის მაგნატის, ლუჩანო ბენეტონის გუნდისთვის წლევანდელი სეზონი ბოლო იქნება, რადგან ბოლიდი თითქმის ასი პროცენტით, ძრავიან-კორპუსიანად უკვე „რენოა“ და გაისად სწორედ ამ სახელით იასპარეზებს. ახალი შეფი ფლავიო ბრიატორე თავისი საჯინიბოს სადღეისო შანსს მოკრძალებულად აფასებს: „მართალია, საჩემპიონო ამბიციებით დავბრუნდით, მაგრამ წლეულსვე მაღალ შედეგებზე ფიქრი არარეალურია. დამდეგ სეზონში ჩვენი უმთავრესი მიზანი ერთი-ორი ეტაპის მოგება და საერთო მესამე ადგილია“.

ახალი „ბენეტონ-რენოს“ პრეზენტაცია ვენეციაში მოეწყო. პომპეზური ღონისძიება თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი დაჯდა. საყოველთაო ყურადღების საგანი იყო რევოლუციური დიზაინის ძრავა „რენო-სპორტ RS21“ — კომპაქტური და მსუბუქი, საგრძნობლად დაწეული სიმძიმის ცენტრით. „ბენეტონის“ პრიმა-პილოტი ამჯერადაც ჯანკარლო ფიზიკელაა, ოღონდ ლიდერს სხვა მეწყვილე ეყოლება: შარშანდელი უსუსური, მხოლოდ ორქულიანი „მიღწევის“ გამო ავსტრიელი ალექსანდრ ვურცი გუნდიდან მიაბრძანეს. მის ნაცვლად ნიჭიერი ბრიტანელი, 21 წლის ჯენსონ ბატონი ირბოლებს.

„ბენეტონს“ გენერალური სპონსორის, სიგარეტის მწარმოებელი გიგანტის, „მაილდ სევენის“ გარდა მხარში უდგას „კორეის ავიახაზები“, „მიშელინი“, „ელფი“...

**გია ახალაძე**



„ბენეტონმა“ ახალი ბოლიდი ვენეციაში წარადგინა



# კრივალოსანი

ვლადიმირ კლიჩკოს ძმამ, ვიტალიმ მიუნხენელი მაყურებელი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა: „რუდი სელდმაიერ ჰალეში“ მან ორლინ ნორისი პირველსავე რაუნდში დაანოკაუტა და ხალხი მოსული არ იყო, დარბაზის დატოვება რომ მოუხდა. ახლა, მთავარი კლიჩკო, ვიტალის დანაშაულს გამოისყიდის. მან 24 მარტს, იმავე დარბაზში, მარად საინტერესო მეტოქესთან, დერიკ ჯეფერსონთან დანიშნა ბრძოლა. ამ ბრძოლაში ვლადიმირი WBO-ს ქამარს დაიცავს.

კლიჩკოები და მათი პრომოუტერი ფირმა „უნივერსუმი“ ერთრაუნდიანი ჩხუბის ამბავმა ისე შეაწუხა, რომ 24 მარტის ხსენებული კრივის სანახავად ხალხს ბილეთის ფასად იგივე დაუტოვეს, რაც ვიტალისა და ნორისის დროს იყო. არადა, სად ვლადიმირ კლიჩკო ჯეფერსონის წინააღმდეგ და სად ის ერთრაუნდიანი ამბავი.

გარდა ამისა, ქომაგები კლიჩკოსაგან საჩუქრად მინი-ხელთათმანებსაც მიიღებენ. გერმანიაში ბრძოლას ტელეკომპანია „პრემიერ უორლდი“ გადასცემს.



ვიტალი კლიჩკომ (მარჯვნივ) ორლინ ნორისის გასალახად ერთი რაუნდი იკმარა

* * *

**ჩვეულებრივი პოსტ-საბჭოთა ტრაგედია დატრიალდა ყაზახეთში, კერძოდ ყარაღანდაში. ქალაქის ერთ-ერთ ბარში სროლა ატყდა, რომელსაც 28 წლის ბიზნესმენი ბექტაშ აბუბარიკოვის სიცოცხლე შეეწირა. ვერ გეტყვით რა ბიზნესში ტრიალებდა ბიზნესმენი აბუბარიკოვი, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შეგვიძლია, რომ 1991 წელს ის კრივში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო და ჩვენს კრივალოსანშიც ამიტომ მოხვდა.**

**აბუბარიკოვი 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაშიც მონაწილეობდა, მაგრამ მედალი ვერ მოიგო.**

* * *

24 თებერვალს ტამპაში როი ჯონსი დერიკ ჰერმონს უნდა ეჩხუბოს, მაგრამ აქ, ამ ბრძოლაზე არ შევჩერდებით. ამჯერად თქვენს ყურადღებას ანდერქარდს მივაპყრობთ: ქვემძიმე წონაში ანტონიო ტარვერი დაუმარცხებელ ლინკოლნ კარტერს დაუპირისპირდება.

ტარვერის ამოცანა ნათელია, მან კარტერი აუცილებლად უნდა დაამარცხოს და თუ ეს შეძლო, ჯონსისკენ გაეხსნება გზა. არადა, რომ არა ერიკ ჰარდინგთან დამარცხება — კარიერაში ჯერჯერობით ერთადერთი — ის ყველა ფედერაციისა და საბჭოს ქამრის პრეტენდენტი გახდებოდა.

ანტონიო ტარვერი ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანია. პროფესიულ კრივში გადაბარგების შემდეგ მან 17 ბრძოლა გამართა, რომელთაგან, როგორც მოგახსენეთ, ერთი წააგო. 1995 წელს, ოლიმპიადამდე, ლინკოლნ კარტერის (22-0) მომავალმა მოწინააღმდეგემ მოყვარულთა შორის მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და იმავე წელიწადს პან-ამერიკულ თამაშებზეც აჯობა ყველას. გარდა ჩამოთვლილისა, იგი აშშ-ის ხუთგზის ჩემპიონია.

მისი და კარტერის ჩხუბი ფილადელფიაში, „აის პალასში“ გაიმართება. სხვათაშორის, ორივე მოკრივე ფილადელფიელია.

* * *

**ყოფილმა მძიმეწონოსანმა, WBO-ს ჩემპიონმა, რეი მერსერმა განაცხადა, რომ ერთწლიანი იურიდიული შებოჭვისგან გათავისუფლდა და რინგზე ბრუნდება. 1988 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნიუ ჯერსის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც იქნა დონ და კარლ კინგებთან კონტრაქტს თავი დააღწია, მაგრამ გალატაკებულია.**

**11 თებერვალს მერსერი, რომელსაც პროფესიულ რინგზე 26 გამარჯვება (18 ნოკაუტი) 4 ფრე და 1 მარცხი უხილავს, ჯეფ პიჯესს შეხვდება. ეს ჩხუბი ილინოისის შტატში, ილგინში, „ვიქტორია კაზინოს“ დარბაზში გაიმართება. დათქმულია 10 რაუნდი. გააშუქებს ტელეკომპანია FOX SPORTS NET.**

**„ცხადია მზად ვარ, აბა ისე რინგზე როგორ დავბრუნდებოდი“ — განაცხადა მერსერმა.**

* * *

„შავმა რინომ“, იგივე კლიფორდ ეტიენმა განაცხადა, რომ HBO-ს ტოვებს, რადგან „შოუთაიმთან“ ერთ მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ კონტრაქტის მიხედვით „შავმა რინომ“ სამი ბრძოლა უნდა გამართოს, რომელთაც „შოუთაიმი“ გადასცემს და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ხელშეკრულება კიდევ ორი ბრძოლით გაგრძელდება.

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეტიენმა HBO-სთან კონტრაქტი უხეშად დაარღვია, მაგრამ როგორც თავად HBO-ს წარმომადგენლის კომენტარიდან ირკვევა, ის სამი ბრძოლა, რომელიც „შავმა რინომ“ უნდა გამართოს, ნაწილობრივ HBO-საც აწყობს, რადგან მეტოქეებს ისე შეარჩევენ, რომ ერთ-ერთი მათგანი მორის ჰარისი იყოს. ჰარისი ის მოკრივეა, რომელიც, სრულიად მოულოდნელად, მძიმეწონოსანთა ოცეულში შევარდა.

ზოგადად, ეტიენისთვის ყველაზე ხელსაყრელი „შოუთაიმის“ მთავარ გმირთან, მაიკ ტაისონთან ჩხუბი უნდა იყოს. თეორიულად ასეთი ბრძოლა გამორიცხული არ არის, რადგან ჯერჯერობით ტაისონი ლენოქს ლუისთან დაპირისპირებას არიდებს თავს და ვერც მისი და ჰოლიფილდის კრივს დაადგა საშველი. ესე იგი, თუ ასე გაგრძელდა „რკინის მაიკმა“ „შავ რინოზე“ უნდა დაიწყოს ფიქრი.



## NHL
### რეგულარული ჩემპიონატი

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო | 2:1 | აილენდერსი | (0:0 1:0 0:1 1:0) |
| ფინიქსი | 1:2 | კაროლინა | (1:0 0:1 0:0 0:1) |
| ფლორიდა | 2:1 | მინესოტა | (1:1 0:0 1:0) |
| პიტსბურგი | 9:4 | ფილადელფია | (3:3 5:0 1:1) |
| ტორონტო | 7:1 | ატლანტა | (0:1 3:0 4:0) |
| კოლორადო | 1:3 | ვაშინგტონი | (0:0 0:0 1:3) |
| დალასი | 3:2 | ედმონტონი | (2:2 0:0 1:0) |
| ანაჰაიმი | 2:3 | ჩიკაგო | (1:0 0:1 1:2) |



პიტსბურგი — ფილადელფია. იარომირ იაგრმა ფილადელფიელებს მორიგი გოლი შეუგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS პუნტა დელ ესტედან

# რომარიოს ინსპექცია გადაუდგა

ურუგვაის ზღვისპირა ქალაქ პუნტა დელ ესტეს პოლიციასთან ნაცნობობა არ გადის. ამ ქალაქში სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მისაღებად ჩასულ რომარიოს წითელზე გაუვლია თუ რა იყო, არავინ იცის, წვალება კი შეხვედრია. მონტევიდეოს განთქმული გაზეთის „ელ პაისის“ ტრადიციული ჯილდო სამასი სამხრეთამერიკელი ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად გადაეცემა ხოლმე რჩეულ მობურთალს.


REUTERS სან პაულუდან

# მურნინგი წუხს

მაიამიში პრესკონფერენცია გაუმართავს აქაური „ჰითის“ ცენტრს, ალანზო მურნინგს. მურნინგი, რომელსაც თირკმლების საშინელი დაავადება სტანჯავს, წლეულს არც კი გამოსულა მოედანზე. ამის მიუხედავად, „ოლ სტარის“ შემადგენლობაში მაინც დაუსახელებიათ და სალაპარაკო და ასახსნელი მართლაც ბევრი აქვს.


REUTERS მაიამიდან

# ლუქსემბურგი თაბაშირში

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ვანდერლეი ლუქსემბურგო ფეხმოტეხილი ჩასულა სან პაულუში, სადაც პრესკონფერენცია უნდა გამართოს. სექტემბერში მოხსნილი ლუქსემბურგო დიდ სკანდალშია გაეხვა: ნაკრების კომერციული შემადგენლობით ათამაშებას (სავარაუდოდ გასაყიდი ფეხბურთელების გამოყვანას) და კორუფციას აბრალებდნენ. ასე რომ, ცხვირწამტვრეულს ახლა ფეხიც მოუტეხია.

# ვაშლშერჩენილი ჩემპიონი

ეს ვილაც უდარდელი მოსეირე არ გეგონოთ. შვედ მოთხილამურე გოგოს, ანია პაერსონს ძალიანაც აინტერესებს თავის მოწინააღმდეგეთა შედეგები. ტიროლის მთებში, სანტ ანტონის ახლოს მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსლალომე ქალთა ოქროს მედალი სწორედ ანიამ მოიგო. ოღონდ კი, ვაშლს რომ ჭამდა, თავისი ჩემპიონობისა ჯერ არ სჯეროდა და სხვათა შედეგების აღმბეჭდ წამზომსაც ამიტომ უცქერდა პირში ვაშლშერჩენილი.

# სიცოცხლე დამთავრდა, საქმე დაიხურა


AFP

ამ დღეს ყველაფერი მთავრდება. „ფესტინას“ველოგუნდის დოპინგ-სკანდალის საგამოძიებო საქმეები არქივს ჩაბარდება. სკანდალის მთავარი გმირი, საქმეაღძრული გუნდის ექიმი ერიკ რაიკერტი გარდაიცვალა. ასე რომ, სასამართლო აღარ შედგება. განთქმული ფესტინელი მხედარი რიშარ ვირანკი (სხვათა შორის, სასამართლოსგან გამართლებული) სწორედ ცხონებულის დაკრძალვაზე აღბეჭდეს რეპორტიორებმა.


REUTERS სანტ ანტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge